79
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მხედ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 10 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

№ 10 ხუთშაბათი 17 მაისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000 მან. № 110

დღიური

ინგლისის პარლამენტში მთავრობის წარმომადგენელი გამოვიდა განმარტებითი სიტყვით ნოტის შესახებ.

ინგლისში მოელიან ამხ. კრასინის ჩასვლას, რომელიც პირადათ მოელაპარაკება კერზონს და ბონარ ლოუს.

პეტროგრადის საბჭომ ყველა ქვეყნის მუშებს მოწოდებით მიმართა უკანასკნელ ამბების შესახებ.

ლოზანას კონფერენციაზე მდგომარეობა გამოურკვეველია.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა 18 მაისს

ერთიან პარტიულ დღეს

1) პირველ საკითხად დასმულ იქნეს დღის წესრიგში: კერზონის ნოტის და ამხ. ლიტვინოვის პასუხის განხილვა.

2) მეორე საკითხად: „რ. კ. პ. მე-XII ყრილობის რეზოლიუციების გარჩევა“.

მასალებად გამოყენებული უნდა იქნეს ინგლისის მთავრობის მემორანდუმი და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხი, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“.

მეორე საკითხის მასალის მიღება შეიძლება თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

თბილისის კომიტეტის მდივანის მაგიერ: რუბენი.

ორშაბათს 21 მაისს, საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში დანიშნულია

თბილისის საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა „ფაბკომების“, ქარხკომების და ადგილკომების მონაწილეობით.

დღის წესრიგშია:

1. ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2. კომუნალურ განყოფილების გამგის მოხსენება განყოფილების მოქმედების და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

კრ. 392 3—1 პრეზიდიუმი.

ინგლისის მთავრობა უკან იხევს

ოპოზიციონური პარტიები ერთიანდებიან მთავრობის წინააღმდეგ.

ლონდონი. 14 მაისი. კამათი კერზონის ნოტის შესახებ თემთა პალატაში გაიხსნება მაკდონალდის სიტყვით. ოპოზიციის ყველა ფრაქციები ერთიანდებიან მთავრობის წინააღმდეგ.

კერზონს ნახტომი შეეშალა.

ლონდონი 14 მაისი. გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ სწერს კერზონის ნოტის შესახებ შემდეგს: „კერზონი ცუდ გზას დაადგა, როდესაც მან გაუგზავნა საბჭოთა მთავრობას ულტიმატუმი, რომელიც მიზნათ ისახავს ორი მთავრობის შორის კავშირის გაწყვეტას და სავაჭრო ურთიერთობის მოშლას. კერზონმა გააფუჭა შესანიშნავი საქმე თავისი გამომწვევი ტონით. მალე ცხადი შეიქნება ყველასათვის, რომ მან ისარგებლა პრემიერის ლონდონში არ ყოფნით და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ინგლისის მთავრობას, რადგან მან გადასდგა ნაბიჯი, რომელიც უფრო შეეფერება ჰოჰენცოლლერნის დროის სახელმწიფო მოღვაწეებს. ინგლისელების დიდი უმრავლესობა ჰგმობს ამ მეთოდს, რომელსაც უეჭველათ ბოლოს მოუღებს დებატები პარლამენტში. შეუძლებელია დაასახელოთ კიდევ მეორე ასე უვარგისი დიპლომატი ომის შემდეგ ხანაში. ყველას რომ წაებაძა მისთვის, მსოფლიო მდგომარეობა აიწეწებოდა“.

ჩვენ ვწერდით გუშინ, რომ ინგლისის მთავრობის ულტიმატიური ხასიათის ნოტამ გამოიწვია ერთსულოვანი აღშფოთება მთელ ფედერაციაში და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ შემოკრიბა ყველა სასიცოცხლო ძალები ჩვენი რესპუბლიკების. მაგრამ ასეთი გავლენა იქონია მან არა მარტო საბჭოთა კავშირში. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ეფექტი, რომელიც მოჰყვა მას თვით ინგლისში. მან ფეხზე დააყენა ყველა მოწინააღმდეგენი კონსერვატიული მთავრობის. პირველ ყოვლისა მან ხელი შეუწყო ინგლისის მუშათა პარტიისა და კომუნისტების და მათი მიმდევარი პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შექმნას მთავრობის წინააღმდეგ. კვლავ მოძრაობაში მოვიდნენ ცნობილი „კომიტეტები მოქმედების“ და მიღწეულ იქნა თანხმობით გამოსვლა მუშათა პარტიებისა პარლამენტში. მაგრამ არა მარტო ეს პარტიები მოვიდნენ მოძრაობაში. მათ მხარს უჭერს ამ შემთხვევაში კერზონის წინააღმდეგ ლიბერალური ფრაქციები პარლამენტის, ის ბურჟუაზიული ფრაქციები, რომლებიც წინააღმდეგი არიან ორი ქვეყნის შორის არსებული ურთიერთობის შეწყვეტის. ყველა ერთსულოვნათ გამოდიან ომის შესაძლებელი საფრთხის წინააღმდეგ. „ინგლისელების დიდი უმრავლესობა ჰგმობს კერზონის მეთოდს“—ასე სწერს ერთი უძველეს და უდიდეს ორგანოთაგანი ინგლისის პრესის.

ჩვენ ვთქვით ერთ ერთ წერილში, რომ კერზონის ნოტა არის შანტაჟი. ომი საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ წინასწარ გულისხმობს შინაური ფრონტის ისეთ სიმტკიცეს, რომელიც მიუწვდომელია დღეს არა მარტო **მუშათა რესპუბლიკების,** არამედ თვით მეტოქე ბურჟუაზიული სახელმწიფოს წინააღმდეგაც ასამხედრებლათ, ისიც მსოფლიო ომის შემდეგი ხანისთვის დამახასიათებელ კლასთა წინააღმდეგობის გამწვავების პირობებში. ეს შეხედულება ინგლისის მთავრობის ნოტის შესახებ ჰპოულობს რამოდენიმეთ დადასტურებას იმ განცხადებითაც, რომლითაც გამოვიდა თემთა პალატაში ამ კითხვაზე დაწყებულ კამათის დროს მთავრობის წარმომადგენელი, ცხადია, რომ ინგლისის დღეს ხელმძღვანელი წრეები იძულებული შეიქნენ ანგარიში გაეწიათ საზოგადოებრივი აზრის ერთსულოვანებასა და მათი მოწინააღმდეგების გამოსვლისათვის კერზონის „მეთოდის“ წინააღმდეგ. ეს არის უკან დახევა ინგლისის „ჯინგოისტების“, ყველა ჯურის ცეცხლის წამკიდებლების.

მაგრამ როგორ მშვიდობიანადაც არ უნდა დამთავრდეს რუსეთ-ინგლისის დღევანდელი კონფლიქტი, ის კიდევ ერთი გამაფრთხილებელია საბჭოთა ფედერაციისათვის.

დაუღალავი, სისტემატიური მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება საბჭოთა კავშირის ძლიერებისათვის—აი ამოცანა და მას გადასწყვეტს მშრომელთა დიდი კავშირი.

ინგლის-რუსეთის კონფლიქტი

როგორც გუშინაც გვქონდა აღნიშნული, საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა ინგლისის მემორანდუმზე იმგვარადაა შედგენილი, რომ ლონდონის მთავრობას ეძლევა საშუალება უკან დახევის და ჩვენ მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყების სადავო საკითხების გადასაჭრელად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კერზონი იძულებული გახდება თავი დაანებოს მუქარას საბჭოთა კავშირის მიმართ, უარყოს თავისი წრე გადასული პრეტენზიები და უარი სთქვას ინგლის-რუსეთის სავაჭრო და დიპლომატიურ დამოკიდებულების შეწყვეტაზე.

ამას გვაფიქრებინებს ჩვენ, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ ინგლისის ყველა სოციალური ძალები, გარდა ერთი მუჭა მრეწველების და ავანტიურისტებისა, ერთხმად ილაშქრებენ კერზონის მიერ გადადგმულ ნაბიჯის წინააღმდეგ და მოითხოვენ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის შენარჩუნებას და მის უფრო გაფართოება-განვითარებას; მეორე მხრივ, ამაში გვარწმუნებს საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე და ჩვენი ქვეყნების მშრომელთა ერთსულოვანი და ურყევი გადაწყვეტილება მთელი ძალღონით დაიცვან საბჭოთა რესპუბლიკა იმპერიალისტების თავდასხმისაგან.

ასეთ და საერთოდ გართულებულ საერთაშორისო პირობებში ლონდონის კონსერვატიული მთავრობაც ვერ გაბედავს მიმართოს იარაღს, რომელსაც სულ ადვილად შეუძლია ბოლო მოუღოს თვითონ მას და მის მომავლინებელ ჯგუფების ბატონობას.

ამიტომ ვიმეორებთ, კერზონის მიერ ატეხილ ჰქა-ქუხილს, უნდა ვიფიქროთ, არ მოჰყვება წვიმა და ნიაღვარი და კონფლიქტი მორიგებით დათავდება.

მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს იქნება მორიგება დროებითი ხასიათის, ვინაიდან არ ისპობა ის მიზეზები, რომლებმაც კერზონის ულტიმატუმი გამოიწვიეს.

საერთო ხასიათის მიზეზია თვით ფაქტი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის, რაც თავის თავად დიდ საფრთხეს წარმოადგენს ბურჟუაზიული მთავრობებისათვის. ამიტომაც ამ უკანასკნელების მუდმივ საზრუნავ საგანს შეადგენს დამხობა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების. ბრძოლა ამ ორ ძალას შორის, იქნება ეს ბრძოლა ფარული თუ აშკარა, იარაღით ხელში თუ ეკონომიური, გაგრძელდება ერთ ერთ მათგანის სრულ დამარცხებამდე.

კერძოდ ინგლისი მოწადინებულია დააუძლუროს საბჭოთა რესპუბლიკები, თუ არ შესძლებს მათ მთლად განადგურებას. ამას მოითხოვს მისი იმპერიალისტური ინტერესები. საბჭოთა ფედერაცია გეოგრაფიულად ახლო მდებარეობს ინგლისის აღმოსავლეთის კოლონიებთან და სხვა დაჩაგრულ ხალხებთან. გაძლიერება საბჭოთა კავშირის, მისი ურთიერთობის გაჩაღება აღმოსავლეთის ხალხებთან არყევს მათში ინგლისის პოზიციებს. რა თქმა უნდა, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა მთავრობა არავითარ იმპერიალისტურ ზრახვებს არ ისახავს აღმოსავლეთში ან სადმე სხვაგან, მაგრამ მარტო ფაქტიც მისი დაახლოვების ინგლისის გავლენის სფეროში მყოფ ქვეყნებთან ემუქრება ლონდონს აქ პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის დაკარგვით. ესაა საფრთხე აღმოსავლეთის დამონებულ ხალხთა რევოლიუციონური ბრძოლისა დასავლეთის და კერძოდ ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობა ამ შემთხვევაში გამოდის როგორც მეგობარი აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხების; ეს კი ინგლისს მის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ პოლიტიკად მიაჩნია. ამიტომ ინგლისის იმპერიალიზმი ცდილობს იმდენად დააუძლუროს საბჭოთა რუსეთი, რომ მას არ შეეძლოს რაიმე გავლენის მოხდენა აღმოსავლეთის ხალხებზე, რათა თვითონ იყოს მათი განუსაზღვრელი ბატონი და ექსპლოატატორი.

ინგლისის მადა ამითაც არ კმაყოფილდება. მას კარგა ხანია თვალი უჭირავს კავკასიის სანავთო წყაროებზე. ამ წყაროების კონცესიონერები წინედ მეტ წილად ინგლისელები იყვნენ, რომელნიც დაზარალდნენ ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის გამო.

ინგლისის მთავრობა ცდილობს ხელში ჩაიგდოს კავკასიის ნავთი, ან აღადგინოს თავის უფლებებში მისი ძველი კონცესიონერები. ასეთი ცდა, „მშვიდობიანი“ თუ სამხედრო, მან რამოდენიმეჯერ მოახდინა, მაგრამ ყოველთვის შეეჯახა საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეს.

დღეს, მას შემდეგ, რაც ჩესტერმა აიღო მოსულის ნავთის კონცესია, ნავთის საკითხი ინგლისისათვის უფრო მწვავედ დგას. და ჩვენ გასაგებად მიგვაჩნია, თუ ის ამ აუცილებელი საგნის შესაძენად შეეცდება საბჭოთა მთავრობის „დამონებას“, თუ გინდ სხვა და სხვა საბაბის მიზეზით.

თორემ აბა ვინ დაიჯერებს, რომ ლონდონის მთავრობა ომის ატეხას ლამობს ხუცების გასამართლებისათვის, ან ერთი ტრალერის დაჭერისათვის, ან და ორიოდე ჯაშუშის დასჯისათვის.

აქ უფრო ღრმა ინტერესებთან გვაქვს საქმე, ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესებთან.

დღეს არ არის ხელსაყრელი პირობები ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკის შეუზღუდველი გატარებისათვის. რაც დრო გადის, მისი შანსები უფრო ნაკლები იქნება. ამის თავდებია მსოფლიო რევოლიუციის განვითარება, ამის მაჩვენებელია საერთაშორისო პროლეტარიატის მედგარი ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

თანამშრომელი.

ინგლისის ნოტის გარშემო

კამათი რუსეთის საკითხის შესახებ ინგლისის პარლამენტში

ინგლისის პარლამენტში გამოვიდა მთავრობის წარმომადგენელი და განაცხადა: ულტიმატუმს ომი არ მოჰყვება; ინგლისს არ სურს რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების შეწყვეტა; მანვე დასძინა: ლონდონში მოველით კრასინს, რომელთანაც ინგლისის მთავრობას სურს მოლაპარაკება სადავო საკითხების მოსაგვარებლად

მთავრობის განმარტება

ლონდონი. 16 მაისი. ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა მაკდონალდმა ინგლისის თემთა პალატაში შეიტანა შეკითხვა ინგლისის კაბინეტის პოლიტიკის შესახებ რუსეთის მიმართ. ინგლისის კაბინეტის სახელით მაკდონალდს პასუხი მისცა მაკ-ნეილმა. **მან დაიწყო იმით, რომ უარყო ომის შესაძლებლობა ორი დიდ სახელმწიფოს შორის ისეთი მიზეზით,** რომელსაც წარმოადგენენ ის კითხვები, რომლებიც ამ ჟამად რუსეთსა და ინგლისს შორის თავის საგანს შეადგენენ. მაკ-ნეილის განცხადებით ომზე ლაპარაკი ნიშნავს პერსპექტივის არ დანახვას. ამის შესახებ მან სთქვა.

„ჩვენ ყველას გვსურს შევინარჩუნოთ, რამდენათაც შესაძლებელია, მეგობრული დამოკიდებულება უცხოეთის სახელმწიფოებთან, მათ შორის რუსეთთანაც, მაგრამ ამავე დროს ჩვენს გვსურს დავიცვათ და გავაფართოვოთ საკუთარი ინტერესები იმ ფარგლებამდე, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება. ინგლისის ერს არ დაუვიწყებია თავისი მოვალეობა რუსეთის ერის წინაშე. მას არ დაუვიწყია, თუ რა გააკეთეს რუსებმა ომის წინ“. შემდეგ მაკ-ნეილმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას არ ჰქონდა განზრახვა გაეუქმებია ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება და თვალყურს ადევნებდა იმას, რომ ხელშეკრულება შესრულებულიყო. ინგლის-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობა უფრო განმტკიცდებოდა, რომ ერთ მოწამეს არ დაერღვია ის (?). მას არღვევდა საბჭოთა მთავრობა. 1921 წლის მარტში ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თანავე საბჭოთა მთავრობამ განაახლა თავისი პროპაგანდა.

აღმოსავლეთის საკითხი

საკითხი საბჭოთა პროპაგანდის შეწყვეტის შესახებ თავიდანვე შეადგენდა ხელშეკრულების ძირითად ნაწილს. ეს საკითხი არ იყო ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა, არამედ მისი მთავარი ნაწილი. ამიტომ ინგლისის მთავრობა საბჭოთა მთავრობას უგზავნიდა ენერგიულ პროტესტებს. ამ საკითხში ძველი პრემიერის და ძველი კაბინეტის მოქმედება ასეთივე იყო: ისინი უგზავნიდენ საბჭოთა მთავრობას სათანადო ნოტებს, რომელშიც ამტკიცებდენ, რომ საბჭოთა მთავრობა განაგრძობს თავის პროპაგანდას. საბჭოთა მთავრობა იქცეოდა ისე, როგორც ახლა: ის უპასუხებდა მითითებით, რომ ჩვენ მიერ აღნიშნული ფაქტები სიმართლეს არ შეეფერება.

ლიტონი სიტყვები

თუმცა მაკ-ნეილს არ გამოუკვლევია წყაროები, საიდანაც ინგლისის მთავრობა კრებდა ცნობებს საბჭოთა მთავრობის პროპაგანდის შესახებ, მაგრამ ის მაინც აცხადებს, რომ ის თავის თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას იმაში, რომ პროპაგანდას მართლა ქონდა ადგილი. რაც შეეხება ტრალერების დაკავებას, ამის შესახებ მაკ-ნეილმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის პასუხი ამის შესახებ უფრო დამაკმაყოფილებელია, ვიდრე პასუხი ინგლისის ნოტის სხვა პუნქტების შესახებ, რადგან საბჭოთა მთავრობამ ამ საკითხზე ერთგვარი დაკმაყოფილება მისცა ინგლისს ტრალერების და მათი შემადგენლობის განთავისუფლების შესახებ ცნობით ამასთან ერთად მაკ ნეილმა აღნიშნა, რომ თანახმად რუსეთის კანონისა რომელიც დამტკიცებულია 1869 წელს ტერიტორიალური წყლების ზონათ დაწესებულია 3 მილი. სხვა კითხვებში—პროპაგანდის, ინგლისის დაზარალებულ მოქალაქეთა ზარალი ანაზღაურების და სხვათა შესახებ, რუსეთის მთავრობის პასუხი, მაკ-ნეილის განცხადებით, არ აკმაყოფილებს ინგლისს.

ინგლისის მთავრობის „დასკვნანი“

პროპაგანდის შესახებ საბჭოთა მთავრობამ დაკმაყოფილდა მხოლოდ პროპაგანდის საერთო უარყოფით და გასცა პასუხი კონკრეტიულ ფაქტებზე. რაც შეეხება გემებს და მათ შემადგენლობას, თუმცა ისინი განთავისუფლებულნი იქნენ, მაგრამ მათ არ აუნაზღაურეს ზარალი და არ არის გარანტიები მომავლისათვის. სარწმუნოების დევნის შესახებ არავითარი მოთხოვნილებები ინგლისის მთავრობას არ წაუყენებია საბჭოთა მთავრობისათვის, მხოლოდ სთხოვდა მოწყალება გამოეჩინა გასამართლებულთა მიმართ. მაკ-ნეილი ამტკიცებს, რომ ინგლისის მთავრობა არ ერეოდა საკითხში რუსეთში ეკლესიის მდგომარეობის შესახებ, მომავალშიც არ ჩაერევა, თუმცა ზოგიერთებმა შესაძლოა გაკიცხონ ინგლისის მთავრობა ამის გამო. ინგლისის მთავრობა ითხოვდა მხოლოდ დასასჯელთა შეწყალებას.

ულტიმატუმს ომი არ მოჰყვება

დასასრულ მაკ-ნეილმა განაცხადა, რომ თუმცა ინგლისის ნოტას ულტიმატუმის ხასიათი აქვს, მაგრამ **მას არ მოჰყვება ომი.** ულტიმატუმს ის აზრი ქონდა, რომ მის საშუალებით გვინდოდა გვეგრძნობებია საბჭოთა მთავრობისათვის, რომ თუ ის განაგრძობს ხელშეკრულების დარღვევას ისე, როგორც დღემდი, თუ ის არ დააკმაყოფილებს ინგლისის მოთხოვნილებებს, აქედან ის დასკვნა იქნება გამოტანილი, რომ საბჭოთა მთავრობას არ სურს განაგრძოს რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების მოქმედება.

კერზონის „გულკეთილობა“

მაკ-ნეილმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „გადმოგვცემენ, რომ კრასინი რუსეთიდან მოემგზავრება ლონდონში. ფიქრობენ, რომ მისი მიზანია მოლაპარაკება ინგლისის მთავრობასთან. მე არ ვიცი, მოითხოვა თუ მოითხოვს კრასინი ლორდ კერზონთან შეხვედრას. შემიძლია მხოლოდ ეს ვსთქვა, რომ თუ ის ითხოვს ამას, ლორდ კერზონი მზად არის შეხვდეს მას და მოხარულიც იქნება ითათბიროს მასთან. მე არ მსურს შეცდომაში შევიყვანო თემთა პალატა ამ მოლაპარაკების შინაარსის შესახებ: ლორდ კერზონი მოხარული იქნება შეხვდეს კრასინს და გამართოს მასთან მოლაპარაკება ყველა ჩვენი მოთხოვნილებების შესახებ, რათა დაამტკიცოს, რომ ჩვენ ჩვენს მოთხოვნილებებს ვსთვლით სამართლიანად და გზას, რომლისკენაც ეს მოთხოვნილება მიმართულია, ვსთვლით სწორად.

ინგლისი თანახმაა მოლაპარაკებაზე

ლორდ კერზონი წინადადებას მისცემს კრასინს, რათა მან მოლაპარაკების შინაარსი გადასცეს საბჭოთა მთავრობას, თუ ეს აუცილებელია და თუ ამას კრასინი მოისურვებს. ამ რიგად ამას დასჭირდება რამოდენიმე ხანი და ამიტომ ვადა, რომელიც აღნიშნულია ჩვენს ნოტაში, შეიძლება გაგრძელებული იქნეს. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ დავკმაყოფილდებით უფრო ნაკლებით, ვინემ აღნიშნულია ჩვენს მოთხოვნილებებში. ეს მოთხოვნილებები არ ყოფილა შედგენილი და გადაცემული ნაჩქარევად, ან ინგლისის პრემიერის მიერ დაუმტკიცებლად. ისინი შედგენილია მთელი კაბინეტის მიერ ბონარ-ლოუს თავმჯდომარეობით მისი სანქციით და დასტურით.

პარიზი. 16 მაისი. ლოიდ ჯორჯმა რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის შესახებ განაცხადა თემთა პალატაში, რომ რევოლიუციონური პროპაგანდა ინგლისის არმიაში წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს. ასკვიტმა ამავე საკითხის შესახებ იმედი გამოსთქვა, რომ პალატაში აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შესაძლებელი იქნება ინგლის-რუსეთის ურთიერთობის განხილვა კრასინთან ერთად და შეთანხმების მიღწევა.

გზა ხსნილია

ბერლინი. 16 მაისი. ლონდონის წრეები საზოგადოდ კმაყოფილი არიან საბჭოთა რუსეთის ნოტის ტექსტით და ფიქრობენ, რომ გზა ხსნილია მომავალი მოლაპარაკებისათვის.

ბონარ-ლოუ ბრუნდება ლონდონში კრასინთან მოსალაპარაკებლად

ბერლინი. 16 მაისი. ლონდონში შესაძლებლად სთვლიან ბონარ ლოუს იქ დაბრუნებას ვადის გასვლამდე კრასინთან მოლაპარაკების მიზნით.

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი კერზონის წინააღმდეგ

„დეილი ხრონიკლი“ საბჭოთა მთავრობის პასუხის შესახებ

ლონდონი. 15 მაისი. „დეილი ხრონიკლი“, ეხება რა ლიტვინოვის ნოტას, აღნიშნავს, რომ ის შეიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც შეუძლია ყურად იღოს ინგლისის მთავრობამ.

კერზონის ნოტა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევაა

ლონდონი. 15 მაისი. „მანჩესტერ გარდიენი“ მიუთითებს, რომ კერზონის ნოტის მთავარი **შეცდომა** მდგომარეობს იმაში, რომ **წარმოადგენს მრავალ ბრალდებათა კრებულს და აგრეთვე ჩარევას რუსეთის შინაურ საქმეებში,** რასაც არ მოითმენდა ინგლისი თავის მიმართ.

საბჭოთა მთავრობის პასუხის განხილვა

ლიფილდი. 14 მაისი. როგორც იუწყებიან, ინგლისის კაბინეტი დღეს შეუდგება საბჭოთა მთავრობის პასუხის განხილვას.

ინგლისის ტრალერი ბრუნდება

ლიფილდი. 14 მაისი. თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ინგლისის ტრალერის შესახებ შეკითხვაზე განაცხადა, რომ არის საბუთი იმისათვის, რომ რუსეთის მიერ დაკავებული ტრალერი ჩქარა დაბრუნდება ინგლისში.

კერზონის ნოტა პროვოკაციაა

ლონდონი. 14 მაისი. „დეილი ექსპრესი“ სწერს: „ეხლა ნათელია, რომ საქმიანი წრეების წარმომადგენლები თემთა პალატაში კერზონის ნოტას პროვოკაციულად თვლიან“.

ხვალ თემთა პალატაში ვაჭრობის მინისტრი ლლოიდ გრიმი ილაპარაკებს რუსეთის სავაჭრო დელეგაციის მდგომარეობის შესახებ ლონდონში.

თვალყურს ადევნებენ

პარიზი. 14 მაისი. საფრანგეთის საზოგადოებრივი წრეები დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალყურს რუსეთ-ინგლისის კონფლიქტს. გაზეთები ცდილობენ წინდაწინვე წარმოიდგინონ რუსეთის პასუხი და მოყავთ კრასინის მიერ ბერლინში ყოფნის დროს გაკეთებული განცხადება. კრასინის გამგზავრებას ლონდონში შერიგების ფაქტად თვლიან.

ინგლისის მუშები მხარს უჭერენ საბჭოთა რუსეთს

ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ.

ლონდონი. 14 მაისი. მუშათა პარტიის აგიტაცია ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ძლიერდება. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის დემონსტრაციაზე ტრაფალგერ-სკვერში გამოვიდა ნიუბოლდი, რომელსაც ყველა დემონსტრანტები ოვაციებით შეხვდენ.

საპროტესტო დემონსტრაციები იმპერიალიზმის თავდასხმის წინააღმდეგ

პეტროგრადის საბჭოს მოწოდება

მოსკოვი. 15 მაისი. პეტროგრადის საბჭომ მიმართა ყველა ქვეყნის და პირველ ყოვლისა ინგლისის მუშებს შემდეგი მოწოდებით: „განიხილა რა საკითხი იმ ულტიმატუმის შესახებ, რომელიც წარუდგინა კერზონმა საბჭოთა მთავრობას, პეტროგრადის საბჭო იმედს გამოსთქვამს, რომ ყველა ქვეყნის მშრომელთა მასები აღშფოთებით შეხვდებიან მსოფლიო იმპერიალიზმის ზრახვებს და ყოველივე ძალღონეს მოიკრებენ იმისათვის, რათა დაიცვან საბჭოთა რუსეთის არსებობა. ინგლისის იმპერიალისტებს დაავიწყდათ, რომ საბჭოთა რუსეთთან შეუძლებელია ულტიმატუმების ენით ლაპარაკი. კერზონის ბრალდებები წარმოადგენენ აშკარა ჭორებს. უმნიშვნელო ინციდენტი იმ ტრალერების დაჯარიმების გამო, რომლებიც უკანონოთ შემოვიდენ ჩვენს წყლებში, უსირცხვილოდ გაზვიადებულია მტრულ აქტად.

იმპერიალისტების თვალში საბჭოთა რუსეთი დამნაშავეა ჯერ კიდევ თავისი არსებობის ფაქტით. გალაშქრება რურზე, კერზონის ულტიმატუმი, ამხ. ვოროვსკის მოკვლა, ფოშის პოლონეთში გამგზავრება ინგლისის სამხედრო მისიის ყოფნა რუმინეთში, პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული მზადება,—ყველა ეს რგოლებია იმ ხუნდების, რომელსაც სჭედენ იმპერიალისტები საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის.

მაგრამ ინგლისის იმპერიალისტებმა უნდა იცოდენ, რომ საბჭოთა რუსეთისათვის არ არის საშიში მუქარები. მთელი მსოფლიოს მუშებმა და ინგლისის მუშებმაც უნდა გაიგონ, რომ იწყება გალაშქრება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მსოფლიო რეაქციის გამარჯვება ამ გალაშქრების დროს იქნებოდა მსოფლიო მუშათა მოძრაობის განადგურება მრავალი წლით. ინგლისის მუშებმა, რომელთაც ეკუთვნის დიდი ისტორიული პასუხისმგებლობა, უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისთვის, რათა ნება არ მისცენ ინგლისის ეხლანდელ მესვეურებს ახალი ომის კოცონის გაჩაღებისათვის.

სრულიად-უკრაინის ცენტრალური აღმასკომის სასწრაფო სესია

ხარკოვი. 14 მაისი. სრულიად-უკრაინის ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმის სასწრაფო სხდომაზე 14 მაისს დაადგინეს მოწვეულ იქნეს 15 მაისისათვის სრულიად-უკრაინის ცენტრალური აღმასკომის სასწრაფო სესია საერთაშორისო მდგომარეობის განსახილველად.

ბაქოს პროლეტარიატის პასუხი ინგლისის ნოტაზე

ბაქო. 15 მაისი. ბაქოს პროლეტარიატის დემონსტრაციამ არაჩვეულებრივი ხასიათი მიიღო. მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია:

„ბაქოს საბჭოს პლენუმმა 15 მაისის სხდომაზე, პროფკავშირების, სარეწაოების გამგეობათა და ფაბრიკის კომიტეტების თანადასწრებით, რომელმაც მიიღო მუშების, წითელ-არმიელების, ასკერების, მეზღვაურების, სტუდენტების, მასწავლებლების და სხვების გრანდიოზული დემონსტრაციის სახე, განიხილა რა ინგლისის ნოტა საბჭოთა მთავრობისადმი, გამოსთქვა ღრმა აღშფოთება ინგლისის მთავრობის მუხანათური და თავხედური მოთხოვნილებით, რომლის მიზანია აქციოს საბჭოთა რესპუბლიკები ახალშენებად, ხოლო ჩვენ ახალშენების მონებად; ბაქოს საბჭო, ემყარება რა ასეულ-ათასს მშრომელთა სურვილზე, მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთავრობისაგან, რათა მან კატეგორიულად უარყოს ინგლისის კაპიტალის ბანდიტების ყაჩაღური ზრახვები. ბაქოს პროლეტარიატი სამარცხვინო ბოძზე აკრავს საბჭოთა ხელისუფლების დიპლომატიური წარმომადგენელის ამხ. ვოროვსკის მკვლელს. ინგლისის მთავრობა აშკარად ცდილობს გამოიწვიოს ახალი ომი. მას სურს ხელი შეუშალოს საბჭოთა ფედერაციის მუშათა და გლეხთა მშვიდობიან მუშაობას და მოგვაყენოს ჩვენ ახალი უბედურება. ინგლისის ულტიმატუმი, ამხ. ვოროვსკის მკვლელობა და სამხედრო დემონსტრაციები მარშალ ფოშის და ინგლისის სამხედრო მისიის პოლონეთში—ეს არის ერთი და იმავე ჯაჭვის რგოლი, რომელიც გამოიჭედა იმპერიალისტების მტაცებლურ მთავრობების და პირველ ყოვლისა ინგლისის მიერ. ბაქოს პროლეტარიატი ჯეროვან პასუხს გასცემს ყველა იმ იმპერიალისტების ხროვას, რომელიც გაბედავს ჩვენი ნავთის სიმდიდრის ხელში ჩაგდების ცდას. ჩვენ დავიცავთ ჩვენს ნავთს იმისათვის, რომ მით გადავწვათ იმპერიალისტური მსოფლიო. ბაქოს პროლეტარიატი აცხადებს, რომ აზერბეიჯანის მუშებს, გლეხებს, ასკერებს და წითელ-არმიელებს არ სურთ ომი, ხოლო თუ ინგლისის მთავრობას სურს თავზე მოგვახვიოს, მაშინ ჩვენ მზად ვართ დავიცვათ ჩვენი საბჭოთა სამშობლო. დასავლეთის მუშებო და აღმოსავლეთის ერებო, ინგლისის კაპიტალის მიერ საბჭოთა ფედერაციის გამოწვევა არის გამოწვევა გაყვლეფილ და დაჩაგრულ კაცობრიობის. დასავლეთის მუშებო, აღიმაღლეთ თქვენი საპროტესტო ხმა ახალი მტაცებლური ომის წინააღმდეგ! აღმოსავლეთის მშრომელებო, აღმართეთ ბრძოლის დროშა მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ, იბრძოლეთ ნაციონალურ თავისუფლებისათვის! გახსოვდეთ, რომ მახვილი მიმართული საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ, მიმართულია ამავე დროს მთელი დამონავებული აღმოსავლეთის წინააღმდეგ. შორს ხელები საბჭოთა ფედერაციისაგან! ძირს ახალი ომი!

გაუმარჯოს აღმოსავლეთის და დასავლეთის მუშების და გლეხების ერთიან ფრონტს იმპერიალიზმის წინააღმდეგ“.

ბათომის მუშების ხმა

ბათომი. 15 მაისი. პირველათ ამხ. ვოროვსკის მოკვლის ცნობას გამოეხმაურენ ამიერ-კავკასიის რაზმის მეზღვაურები. მეზღვაურების კრების მიერ გამოტანილ რეზოლიუციაში ნათქვამია: „ჩვენ გვჯერა, რომ ლოზანაში დაღვრილი სისხლი საზღვარგარეთელ ამხანაგებს გააერთიანებს კომინტერნის დროშის ქვეშ. წყევა-კრულვა მკვლელებს“

რუსეთის პური და გერმანიის პროლეტარიატი

28 მარტს გაგენში (რურის ოლქი) რეინ-ვესტფალის ოლქის სამომხმარებლო კოოპერატივების და მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებს შორის მოხდა შეთანხმება რუსეთის პურის დანაწილების და დარიგების წესის შესახებ. გადაწყვეტილი იქნა, რომ კოოპერატივები კისრულობენ ხორბლის დაფქვას და პურის გამოცხობას და შემდეგ ანაწილებენ პურს მუშებს შორის, ადგილობრივ საკონტროლო საბჭოების განკარგულების თანახმად.

პური დანაწილებული იქნება მიუსინდორფის, რემშეიდის, ზოლინგენის, ესსენის, ბარმენის, ელბერფელდის, ბოხუმის, ველდერტის, დორტმუნდის, კელნის და კრეფელდის ოლქებში. პური პირველ რიგში დაურიგდებათ უმუშევრებისა და ნახევრად უმუშევრების ოჯახებს, პოლიტიკურ ნიადაგზე დაპატიმრებულ პროლეტარების ოჯახებს, ყოფილ ჯარის კაცებს-ინვალიდებს და სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფთ. პურის დანაწილებას კონტროლს უწევს გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების ცენტრალური კომიტეტი და აგრეთვე რეინ-ვესტფალიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და ორგანიზაციის კომიტეტი, სამომხმარებლო კოოპერატივები, რომლებიც ანაწილებენ პურს, ანგარიშს აბარებენ ადგილობრივ საკონტროლო საბჭოებს, რომლებიც ამ ანგარიშს გზავნიან ფაბრიკა-ქარხნების საბჭოების ცენტრალურ კომიტეტში, ხოლო უკანასკნელი გზავნის მათ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოში. საკონტროლო საბჭოებში ღებულობენ მონაწილეობას თავისუფალ პროფკავშირების, სოციალისტურ პარტიების და კოოპერატივების წარმომადგენლები.

მთელი კომუნისტური პრესა და მუშათა კრებები მთელს გერმანიაში გამოსთქვამენ გულითად მადლობას რუსეთის პროლეტარიატისადმი და ხაზს უსვამენ იმ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელიც აქვს რუსეთის მუშების უხვ საჩუქარს. პრესაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ პურის გარდა გერმანიის მუშებმა მიიღეს საჩუქრად კიდევ 1000 გირ. სტერლინგი, შეგროვილი რუსეთის კოოპერატივების მიერ. ეს ფულები პირველ ყოვლისა მოხმარდება ბავშვებისათვის დახმარების აღმოჩენას. ამასთან ერთად კომუნისტური პრესა აღნიშნავს სრულ უმოქმედობას ამსტერდამის ინტერნაციონალის რურის მუშების დახმარების საქმეში.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოთა დელეგაციას, რომელიც თან ახლდა პურის ტრანსპორტებს, დიდ ენტუზიაზმით შეხვდენ გერმანიაში. ბერლინის სადგურში მას შეხვდენ ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენლები. საღამოს ბერლინის ერთ-ერთ დიდ დარბაზში შესდგა გრანდიოზული მიტინგი, რომელიც მოაწყვეს ბერლინის მუშებმა რუსეთის დელეგაციის საპატივცემლოდ. მიტინგზე აღნიშნული იყო, რომ რუსეთის პროლეტარიატის მიერ პურის გამოგზავნა ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციას შეუძლია გადასცეს წარმოება პროლეტარიატის ხელში და რომ ყველა ცნობები მენშევიკებისა რუსეთის გაკოტრების შესახებ,—ყალბია. მეორე დღეს გაიმართა მეორე მასიური მიტინგი, რომელზედაც კვლავ რუსეთის მუშების წარმომადგენლები ესაუბრნენ გერმანიის პროლეტარიატს. ბერლინის მუშები აღფრთოვანებით ესალმებოდენ რუს ამხანაგებს. მიტინგი დამთავრდა წითელ გვარდიელთა მარშის სიმღერით.

„ხალხ. მიმოხ.“.

ჩათახის თუჯის-სადნობ ქარხნის
საზეიმო გახსნა.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით,

მაისის 20, დღის 12 საათზე დანიშნულია

ჩათახის თუჯის სადნობ ქარხნ. საზეიმო გახსნა

ის პირნი და ორგანოები, რომელთაც სურთ დაესწრონ ამ ზეიმს და მოეპოვებათ საკუთარი გადასაზიდი საშუალებანი, თბილისიდან ჩათახში უნდა გაემგზავრნენ მაისის 20, არა უგვიანეს დილის 4 საათისა, ვინაიდან მანძილი დიდია (73 ვერსი) და ამას მოითხოვს გზის მდგომარეობა.

მგზავრებმა თავი უნდა მოიყარონ სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს სახლთან. პუშკინის ქუჩა № 3. გზის მიმართულების გასაცნობად.

ჩათახში ჩამოსულ ამხანაგებს ჯგუფ-ჯგუფად უჩვენებენ ყველა საქარხნო ნაგებობებს და მოწყობილებებს, ბრძმედებს, მაღაროებს და იქვე მისცემენ საჭირო ახსნა-განმარტებას. ნაჩვენები იქნება აგრეთვე ბრძმედიდან დამდნარ თუჯის გამოსვლა, შემდეგ გაიმართება მიტინგი; დასასრულ—საუზმე.

საჭირო **ცნობების მისაღებად** მსურველთ უნდა მიმართონ ამხ. **ვასო არეშიძეს** (ტელეფ. № 9—24), **ნიკო კიკნაძეს** (ტელ. № 8—39) და **ბენდ. კალანდაძეს** (მეორე საქალაქთაშორისო ტელ.-ჩათახი).

თუ მაისის 20-ს ცუდი ამინდი იქნა, ზეიმი გადაიდება. დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

კრ. 391 1—1

ზეიმობის მომწყობი კომისია.

რადიო-დეპეშები

ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო

მეგობრული სამძიმარი

თეირანი 14 მაისი. ცნობა ამხ. ვოროვსკის მოკვლის და კერზონის ულტიმატუმის შესახებ მოედო მთელს თეირანს. რუსეთთან მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოების ელჩებმა ინახულეს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები და განუცხადეს მას თავიანთი სამძიმარი.

ოსმალეთის ელჩი მუხედინ-ფაშა თავის წერილში ამხ. შუმიაცკისადმი სწერს: „ეჭვი არ არის, რომ ეს სამწუხარო ამბები, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, გამოძახილს ჰპოებს ოსმალეთში, რომელიც მეგობრულად არის განწყობილი რუსეთისადმი“.

„ხაკიმეთი მილიე“ მკვლელობის შესახებ.

ანგორა. 14 მაისი. გაზ. „ხაკიმეთი მილიე“ მეთაურში სწერს: „ლოზანაში მომხდარ საზიზღარი მკვლელობის გამო ჩვენს მოვალეობას შეადგენს დავანახვოთ რუსეთის ხალხს ჩვენი თანაგრძნობა, ჩვენი მეგობრული გრძნობები, ჩვენც ბევრჯერ გვხვდა წილათ ასეთი ვერაგული საქციელი და ჩვენს გულში რუსეთის ერი შეხვდება თანაგრძნობას. მოწყობილი ისრები მიმართულია თვით საბჭოთა რესპუბლიკების არსებობის წინააღმდეგ. ვოროვსკის მოკვლა მოხდა არა მარტო შვეიცარიის მთავრობის და პოლიციის, არამედ მთელი ევროპის წინაშე. როგორც არ უნდა ეცადონ მკვლელობას პირადული ხასიათი მისცენ, მაინც ნათელია, რომ ის შემთხვევითი ხასიათის არ იყო. ზოგიერთების ოფიციალური სამძიმარი ვერ შეასუსტებს მომხდარი ფაქტის მნიშვნელობას. საბჭოთა რესპუბლიკების ცალკე წარმომადგენლების მოკვლით არ შეიძლება ამ რესპუბლიკების მოსპობა. მკვლელობის წამქეზებლები უნდა დაისაჯოს. საბჭოთა რესპუბლიკებმა გადაიტანეს თავდასხმის საშინელებანი. ამ რესპუბლიკების ერებმა იხილეს სიკვდილი და სიმშილი და თუ ამ ერების გულში ჩასცემენ მახვილს, ისინი არ იქნებიან პასუხისმგებელნი მოთმინების დაკარგვაში. ჩვენ ვუსურვებთ საბჭოთა რესპუბლიკებს და მთელ კაცობრიობას განთავისუფლდენ ამ პროვოკაციის შედეგებისაგან“.

სტამბოლის პრესის გამოძახილი:

ანგორა. 14 მაისი. სტამბოლის პრესა აღშფოთებულია ამხ. ვოროვსკის მოკვლით. გაზეთი „ვატან“ სწერს: „ბოლშევიკები მხოლოდ მოიგებენ ვოროვსკის მოკვლით“, გაზეთი „აკდამ“ ილაშქრებს ვოროვსკის შესახებ შეთხზულ ჭორების წინააღმდეგ.

ლოზანის კონფერენცია

„ევრ“-ი საფრანგეთის მთავრობას ამტყუნებს.

პარიზი. 14 მაისი. „ევრ“-ი ამტყუნებს საფრანგეთის მთავრობას იმ ორმაგობაში, რომელსაც ის იჩენს რუსეთის მიმართ ლოზანის კონფერენციაზე.

კონფერენციის ახალი კრიზისი.

ბერლინი. 14 მაისი. ლოზანიდან იტყობინებიან კონფერენციის ახალ კრიზისის შესახებ, რომელიც შეიქმნა გენერალ პელლეს სადაო საკითხების საჩქაროდ გადაწყვეტის დაჟინებითი მოთხოვნილების გამო.

გაზეთების ჭორები.

პარიზი. 14 მაისი. საფრანგეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა წარმომადგენლების მდგომარეობას ლოზანაში; პრესა აღნიშნავს იმ ნერვიულ მდგომარეობას, რომელშიაც, თითქოს, იყოს საბჭოთა დელეგაცია.

სხვადასხვა ამბები

გერმანია.

„როტე ფანე“-ს კონფისკაცია.

ბერლინი. 13 მაისი. აუგსბურგის ქალაქის ხელისუფლებებმა კონფისკაცია უყვეს ბავარიის „როტე ფანე“-ს და ბრძანება გამოსცეს მისი პასუხისმგებელ რედაქტორის ხობერის დატუსაღების შესახებ მისი საოლქო წესების წინააღმდეგ მიმართულ წერილებისათვის.

ინგლისი.

ინგლისის ახალი ინტრიგები.

ლონდონი. 13 მაისი. კანადის გაზეთ „გლობ ტორონტო“-ს ცნობით ოსმალეთის ყოფილი სულთანი გადადის შვეიცარიაში. ეს გადასახლება, ალბათ, დაკავშირებულია ინგლისის განზრახვასთან ხალიფატის კონსტანტინოპოლიდან ბრიტანეთის ინდოეთის სხვა რომელიმე ქალაქში გადატანასთან.

ესტონეთის პარლამენტის არჩევნები.

რეველი. 12 მაისი. ესტონეთის პარლამენტის არჩევნების შედეგები უკვე გამოირკვა, პირველი ადგილი უჭირავთ აგრარიებს 997 000 ხმა, მეორე სოციალ დემოკრატებს—63 ათასი ხმა, მესამე მშრომელთა ჯგუფს 51,000 და მეოთხე კომუნისტებისა და პროფკავშირების ბლოკს 44,000 ხმა. ყველა პარტიებმა ამ შემთხვევაში იმაზე ნაკლები ხმები მიიღეს, რაც წინა არჩევნებში ჰქონდათ, გარდა მთლიანი ფრონტის სიისა, რომელმაც მეტი ხმები მიიღო.

ჩინეთი.

უ-პეი-ფუს დამარცხება.

პეკინი. 12 მაისი. ჩრდილოეთში სუი-იატსენმა დაამარცხა უ-პეი-ფუს ჯარები, ამ დღეებში ელიან კანტონის მიდამოების ჩენ-ჩუნ-ინგის ჯარების ნაშთებისაგან განთავისუფლებას.

უნგრეთში

უნგრეთის ,,მშვიდობიანობის მოყვარეობა“.

ბუქარესტი. ბუქარესტის გაზეთები იტყობინებიან, რომ უნგრები სამხრეთ-სლავიის საზღვრებზე თავს უყრიან დიდძალ ჯარს ჯარის-კაცები გადაცმული არიან მუშების ტანისამოსში. გაზეთები იტყობინებიან აგრეთვე, რომ ადმირალმა ხორტიმ ჩამოიარა ჯარის დაბანაკების ადგილები და მხურვალე სიტყვებით მიმართა ჯარისკაცებს.

პრაგა. „ჩეხის სიტყვა“ იტყობინება, რომ სარეპარაციო კომისიას აქვს ცნობები, რომლითაც მტკიცდება უნგრეთის საიდუმლოდ შეიარაღება; უნგრეთმა ტყვიის-მფრქვეველთა რიცხვი გაადიდა 2000-დე და საველე ზარბაზნების რიცხვი კი 800-მდე.

შეერთებული შტატები და იაპონია.

ლონდონი. ინგლისის გაზეთები იტყობინებიან, რომ იაპონიის სამეფო საბჭომ საბოლოოდ უარჰყო 1917 წელში სტატს-სეკრეტარ ლანსინგსა და ვიკონტ იშის შორის დადებული შეთანხმება. შეთანხმება შეცვლილია ხელშეკრულებით, რომლის საგანია სადაო საკითხების მოგვარება. ხელშეკრულების დადების დროს შეერთებულ შტატების და იაპონიის მთავრობებმა მხედველობაში მიიღეს ჩინეთის მოთხოვნილებანი, რომელიც თავის დროზე პროტესტს აცხადებდა ჩინეთის ინტერესების შემლახველ 1917 წლის შეთანხმების წინააღმდეგ.

ბელგია

რკინის გზელთა გაფიცვა იზრდება.

პარიზი. 14 მაისი. ბელგიის რკინის გზელთა გაფიცვა იზრდება. პროფკავშირების მიერ მიღებულმა ნაბიჯებმა გზათა მინისტრთან მოსალაპარაკებლად არავითარი შედეგი არ მოიტანა.

კომინტერნის დროშის ქვეშ

პარიზი. 14 მაისი. ბელგიის სახელმწიფო რკინისგზების მოსამსახურეების კონგრესმა, კომუნისტ სემარის წინადადებით, დაადგინა პროფინტერნს მიემხროს

საფრანგეთი

ფეიქრების გაფიცვა გრძელდება

პარიზი. 14 მაისი. ფეიქრების გაფიცვა ელბეფში გრძელდება. გაფიცულთა მიერ შაბათს მოწყობილი მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა 12.000 მეტი კაცი, დიდის აღტყინებით ჩატარდა.

ქვემძრომნი აიშალნენ.

ვენა. 14 მაისი. ბელგრადის პრესა ახალ შავრაზმულ მონარქიულ ცენტრის შექმნის ამბავს იტყობინება, რომლის მეთაურადაც არიან ყოფილი დიდი მთავრები ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და კირილე ვლადიმირის ძე. ამ ცენტრის რწმუნებულებათ სხვადასხვა ქვეყნებში არიან გენერლები ვრანგელი, ზახაროვი, კუტეპოვი და დმიტრიევი.

რუსეთ-ფინეთის შეთანხმების რატიფიკაცია.

გელსინგფორსი. 14 მაისი. ფინლიანდიის პრეზიდენტმა დაამტკიცა რუსეთ-ფინეთის შეთანხმება სატყეო მასალის წყლის გზით გადაგზავნისა, მონაპირე წყლებში მეთევზეობის საქმის მოგვარებისა და აგრეთვე მეთევზეობისა და ნადირობის საქმის მოწყობის შესახებ ლადოგის ტბაზე.

იხევ ურკარტი.

სტამბოლი. „ტიურკი ნუველი“ იტყობინება, რომ ლესლი ურკარტი, რომელმაც დამარცხება განიცადა თავის კონცესიებით რუსეთში, ეხლა სცდილობს მოეწყოს ჩესტერის წარმოებებში.

მშვიდობიანობა უზრუნველყოფილია

ლონდონი. ,,ტაიმსის“ სტამბოლელი კორესპონდენტი ანგორის ცნობების მიხედვით იტყობინება, რომ უკანასკნელმა არჩევნებმა მუსტაფა-ქემალის პოლიტიკაში მოსპეს ის წინააღმდეგობანი, რომელსაც მშვიდობიანობის საქმეს უქადიდა ოპოზიცია.

სტამბოლი ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი

სტამბოლი. სტამბოლის გაზეთების ცნობით, ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობის უკანასკნელ არჩევნების დროს პერის (სტამბოლის უბანი) მუნიციპალურმა საბჭომ თხოვნით მიმართა მუსტაფა-ქემალს წამოაყენოს პერში თავისი კანდიდატურა. მუსტა-ქემალმა თხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა, რადგან სტამბოლი ჯერ კიდევ სავსებით თავისუფალი არ არისო.

ინგლისს ნავთი სჭირია.

სტამბოლი. „ტიურკი ნუველის“ ცნობით, ლონდონის საინჟინერო ინსტიტუტის ბანკეტზე სამხედრო გემების სამმართველოს მუდმივმა მდივანმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში ინგლისის ფლოტი ნავთის სათბობ მასალაზე გადავაო.

საპასუხოდ.

ლოზანა. ოსმალურ გაზეთ „ზაკკიტის“ ლოზანის კორესპონდენტის სიტყვით, ოსმალეთის დელეგატმა რიზა-ნური-ბეიმ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „გენერალ ვეიგანდის სირიაში გამგზავრების საპასუხოთ, ჩვენ ჩვენი ჯარი გავგზავნეთ“.

უცხოეთის ცხოვრება

მდგომარეობა რურის ოლქში

რკინისგზელების გადასახლება რურის ოლქიდან გრძელდება. ტრიერიდან, კაიზერსლაუტერნიდან, გოდესბერგიდან, ვორმსიდან და სხვა ქალაქებიდან გადასახლებულია ცხრაასამდე რკინისგზელნი.

რურის ოლქში ძლიერდება კომუნისტური პარტიის გავლენა. დორტმუნდში კომპარტიის ღია კრების შემდეგ 227 სოციალ-დემოკრატი გამოვიდა თავის პარტიიდან და მიემხრო კომუნისტებს. პირმანსენცში სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი გაითიშა; ნაწილმა, 200 კაცის შემადგენლობით დაარსა დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი; მეორე ნაწილი 428 კაცის შემადგენლობით მიემხრო კომუნისტებს.

დიუსელდორფში საოკუპაციო ხელისუფლებამ რეკვიზიცია უყო 22 ნახევარ მილიონ გერმანულ მარკას, რომელიც უნდა მოხმარებოდა უმუშევრებს. რეკლინგაუზენში საოკუპაციო ჯარებმა მიითვისეს 157 მილ. მარკა ქალაქის ბანკიდან. ხშირდება ნახშირის, კოკსის, აგურის, მავთულის და სხვების რეკვიზიციის შემთხვევები.

საოკუპაციო ჯარები იკავებენ მაღაროებს და მეტალურგიულ წარმოებებს. მათ მიერ დაკავებულია 15 აპრილს სტინესის მაღაროების მთელი რიგი. გენერალმა დეგუტმა გასცა ბრძანება, რომლითაც საჭიროა ნახშირის ყველა ტრანსპორტზე საფრანგეთის ხელისუფლების განსაკუთრებული ვიზები. საოკუპაციო ხელისუფლება ჰკრებს ნახშირის გადასახადს.

ევროპის ეკონომიური მდგომარეობა

ჩეხო-სლოვაკია.

სტატისტიკური სამქართველოს მიერ გამოქვეყნებული ცნობები მოწმობს, რომ სავაჭრო ბალანსი იანვრისათვის შეიცავს აქტივს—345 მილ. კრონ. თებერვლის შესახებ ჯერ მხოლოდ გამორკვეულია ექსპორტის ციფრი, რომელიც უდრიდა 900,000 ტონნას გაზიდვის ზრდა ეჩნევა უმთავრესად ხე-ტყეს და ნახშირს. ამ ექსპორტის ღირებულება განისაზღვრება 873 მილ. კრონ. (770 მილ. კრ. იანვარში).

ხმარებაში არსებული ქაღალდის ფულის რაოდენობა აპრილის პირველი კვირის განმავლობაში დაეცა 229 მილ. კრონამდე და შეადგენდა 7 აპრილის 8928 მილ. ჩეხ. კრონას.

პურის ბაზარი.

ნიუ-იორკის და ჩიკაგოს ბირჟებზე ადგილი აქვს პურის ფასების აწევას. ამის ახსნა კანადაში და ნებრასკის და კანზას შტატებში ცუდი მოსავალის შესახებ მიღებული ცნობებით არ შეიძლება, ვინაიდან ამ ჟამად კანადაში ცუდი ამინდები დააგვიანებს რამოდენიმედ საზაფხულო ხორბალის დათესვას.

შეერთებული შტატების მთელს ტერიტორიაზე საზამთრო ნათესები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ამიტომ პურის ფასების უეცარი აწევა უნდა ავხსნათ ამერიკის ბანკირების სპეკულიაციური კომბინაციებით.

ძნელია იმის თქმა, თუ როდის დამთავრდება მაღალი ფასების პერიოდი. ყოველ შემთხვევაში ფასის აწევის ტენდენცია არ შეიძლება გამართლებული იქნეს პურის მსოფლიო ბაზრის მდგომარეობით.

გერმანიის შინაური პურის ბაზარი ჯერ ჯერობით უცვლელი რჩება და პურის ფასი ჩამორჩა მსოფლიო სტანდარტსს. ასეთი ჩამორჩენის მიზეზებს ხსნიან გერმანიის წისქვილების ცდით, რათა განამტკიცონ თავიანთი პოზიციები ამერიკის კონკურენციის წინააღმდეგ. დღემდე გერმანიის ნავთსადგურებში მოიპოვება ამერიკული პურის დიდი პარტიები.

საზამთრო ნათესების მდგომარეობა გერმანიაში კარგს შთაბეჭდილებას იძლევა. ხორბალის შეფასება პრუსიაში 2,2 ბალიდან (დეკემბრის ბოლოს) აიწია 2,8 ბალამდე (აპრილში) ბავარიაში ხორბალს აქვს 3,1 ბალი, ჭვავს 3,0, ვიურტემბერგში ხორბალს—2,9, ჭვავს - 3,0. ნათესები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მეორეს მხრივ შესაძლებელია, რომ სავალდებულო „რაზვერსტკის“ გაუქმებისას ნათესები გაფართოებული იქნეს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

1-ლი მაისი ბერლინში.

ბერლინის პროლეტარიატის პირველი მაისის გამოსვლები რამოდენიმეთ განსხვავდებოდა მისი ამ უკანასკნელი ორი წლის პირველი მაისის გამოსვლებისაგან. ამ წლის დემონსტრაციების დამახასიათებელი ნიშანი იყო მისი ინტერნაციონალური ხასიათი. მიუხედავათ იმისა, რომ სოციალისტურ პარტიის ცეკამ ნება მისცა თავის ორგანიზაციებს გამოეტანათ დემონსტრაციაზე არა მარტო წითელი პროლეტარული, არამედ წითელ-შავი-ოქროსფერი (რესპუბლიკის ოფიციალური) დროშები, **დემონსტრაციები მაინც წითელი დროშების ქვეშ მიმდინარეობდა**, რაც წინეთ არ ახასიათებდა სოციალისტურ ორგანიზაციების დემონსტრაციებს.

ამას გარდა, მიუხედავათ იმისა, რომ კომუნისტებსა და სოციალისტებს შორის არავითარი შეთანხმება არ არსებობდა საერთო დემონსტრაციების მოწყობის შესახებ, ამ დემონსტრაციებს მაინც გაერთიანებული პროლეტარული ხასიათი ჰქონდათ და ორივე მუშათა პარტიების დემონსტრაციებს შორის არავითარი განსხვავება არ იყო.

კომუნისტური დემონსტრაციები, რომელთა მსვლელობის საბოლოო მიზანი ტრადიციული ლუსგარტენი იყო, მიმდინარეობდნენ ცნობილ ლოზუნგებით: **„ძირს მძიმე მრეწველობის მთავრობა“, „გაუმარჯოს მუშათა მთავრობას“, ,,გაუმარჯოს მუშათა საერთაშორისო გაერთიანებას“, ,,გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს“.** საბჭოთა რუსეთის მოტივი კომუნისტურ დროშებსა და პლაკატებზე რამოდენიმე ფერებით ჩნდებოდა: უბრალო გამარჯვების სურვილით და მასთან კავშირისა და შეთანხმების მოთხოვნით.

მაგრამ სოციალისტური დემონსტრაციებიც ბრძოლის ლოზუნგების ქვეშ მიმდინარეობდა, რომელიც ფართო პარტიულ მასსების სულიერ განწყობილებას უპასუხებდა, როგორც ეს ბერლინის ჩინოვნიკების უკანასკნელ კრებებზე გამოირკვა. ასე, მაგალითად სოციალისტურ წყებებში სჩანდენ პლაკატები შემდეგი წარწერით: ,,ძირს ბურჟუაზიული ბლოკი“, ,,ძირს ფაშისტური მთავრობა“; საერთოდ პლაკატები მიძღვნილი იყო რეაქციის იან ბრძოლის და რვა საათის სამუშაო დღის დაცვის ბრძოლის ლოზუნგებისათვის. კომუნისტური ორატორები, უმთავრესად, პროლეტარულ მოძრაობის გაერთიანებისა და მთლიან პროლეტარულ ფრონტის შექმნის პრობლემებს ეხებოდენ. ძალიან მკაცრი იყო ამ ორატორების გამოსვლა ბავარიის წინააღმდეგ, სადაც, სხვათა შორის, პირველ მაისის დემონსტრაციები პოლიციის კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა და სადაც მთავრობის მხრივ გამოთქმული იყო სურვილი იმ მუშების მანიფესტანტებიდან დაცვისა, რომელნიც ამ დღეს იმუშავებდენ. სოციალისტური ორატორები თავიანთ სიტყვებში, უმთავრესათ, ეხებოდენ ბურჟუაზიული ბლოკის რეაქციონურ გამოსვლებთან ბრძოლის საჭიროებას, განსაკუთრებით კი, მუშათა კლასის ერთ უმთავრეს მონაპოვარის—რვა საათის სამუშაო დღის გაუქმების განზრახვებს. დემონსტრაციებში მონაწილეობას ღებულობდენ ნახევარ მილიონზე მეტი მუშები. გაფიცვები ყველა სამრეწველო და დიდ სავაჭრო დაწესებულებებში სრული იყო, თუმცა ზოგიერთ მხრებიდან იყო ამ გაფიცვის ჩაშლის განზრახვები. გაფიცული იყო, სხვათა შორის, მიმოსვლის ყველა საშუალებები (ტრამვაი, მიწის ქვეშით ტრამვაი და ავტობუსები), გარდა საქალაქო რკინის გზისა.

დაკეტილი იყო აგრეთვე ყველა მაღაზიები ქალაქის შუა გულში და განაპირა უბნებში, ზოგიერთ შემთხვევაში მოსამსახურეების მოთხოვნით და ზოგიერთ შემთხვევაში კი მუშა მცხოვრებთა საწინააღმდეგო გამოსვლების შიშით.

პარტიული ცხოვრება

— საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ხუთშაბათს 17 მაისს საღამოს 5 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა საერთო-საქალაქო საზეიმო სხდომა ახალგაზრდობის კომკავშირის ამიერ-კავკასიის კონფერენციის გახსნის გამო.

კრების შემდეგ გაიმართება წარმოდგენა.

საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ **ვ. მეტონიძე.**

პარტიული მუშაობა ახალციხის მაზრაში აპრილში.

(გაგრძელება. იხ. გაზ. „კომ.“ № 109).

სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობა. ცეკას ინსტრუქტორის-მიერ მუშაობის მდგომარეობის ახლო გამორკვევამ კარგი გავლენა იქონია სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობაზედაც, ვინაიდგან მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა სააგიტ-საპროპაგანდო და პოლიტ-განმანათლებელი

ფიზიკური კულტურის მორიგი ამოცანები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში

მოზარდი მუშურ-გლეხური თაობის ფიზიკური განვითარება სახელმწიფო მნიშვნელობის პირველ ხარისხოვანი საქმეა.

საბჭოთა სახელმწიფოში მშრომელთა ფიზიკურ განვითარებისათვის ზრუნვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ზრუნვა მათ გონებრივ და ზნეობრივ აღზრდისათვის.

რევოლუციამდე რუსეთში ფიზიკური კულტურის საქმე უყურადღებოთ იყო მიტოვებული. ძველი სკოლა, რომელიც აგებული იყო სხეულის და სულის დუალიზმზე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სულიერ განვითარებას და ეს უფრო იმიტომ, რომ გონებრივი შრომა ბაზარზე უფრო მეტად ფასობდა ვინემ ფიზიკური.

რევოლიუციამ გაათანასწორა ფიზიკური და გონებრივი შრომის ყველა კატეგორიების გასამრჯელო და ადამიანის ფიზიკური კულტურის გზაზე მოსპო ყველაზე მეტად ძნელად დასაძლევი დაბრკოლება—ეკონომიური ფაქტორი.

საექიმო ცოდნის ზრდა ისე, როგორც ადამიანის პიროვნების დაცვის, პროფილაქტიკის და გიგიენის საკითხები, წამოიჭრა მკურნალობის საკითხთან ერთად

ახლა ყველასათვის აშკარა არის, რომ ადამიანი საჭიროებს არა მარტო მკურნალობას, არამედ ჯანმრთელობის დაცვას, არა მარტო ჯანმრთელობის დაცვას, არამედ ზრდის და განვითარების საუკეთესო პირობების ჩვენებასაც.

სწორედ ამ უკანასკნელ მიზანს ემსახურება ფიზიკური კულტურა, რომელმაც უნდა შექმნას ჰარმონიული, ჯანსაღი და შრომის უნარის მქონე პიროვნება.

ამ რიგად ფიზიკური კულტურის მთავარი დანიშნულება საექიმო პედაგოგიურია.

ფიზიკური კულტურის მეორე ამოცანა არის მუშა-ახალგაზრდობის სოციალური, კოლექტივისტური აღზრდა.

მესამე, მასთან ერთად დროებით ამოცანას, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ქვეყნებში სოციალური რევოლიუციის სხვადასხვა დროს დაწყებით, წარმოადგენს მუშური ახალგაზრდობის სამხედრო აღზრდა, რადგან მანამ, სანამ არ დაწყებულა მსოფლიო სოციალური რევოლიუცია, მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მოწოდებულია იდგეს პროლეტარულ სახელმწიფოს სადარაჯოზე.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ რა ეს ამოცანები, ფიზიკური კულტურა უნდა გამოვიყენოთ რაც შეიძლება ფართედ, სრულიად, გონივრულათ, როგორც მოზრდილ მოსახლეობაში, ისევ ბავშვებში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგველის სრული გადაგვარება.

ფიზიკური კულტურა ქმნის ფიზიკურად ძლიერ და ფსიქოლოგიურად ჯანსაღ ხასიათს, უშიშრობას და გამძლეობას ყველა ფრონტებზე, როგორც სამხედროზე ისე სამეურნეოზე.

ფიზიკური კულტურა მძლავრ იარაღს წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გასადიდებლათ და მშრომელ მასსების ფიზიკურად გასაჯანსაღებლად.

ახალგაზრდა თაობის, როგორც მომავალში ღირებულებათა შემქმნელის გაჯანსაღებას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება სახელმწიფოს, პარტიისა და პროფკავშირების მხრივ.

ფიზიკური კულტურის ასეთმა დიდმა მნიშვნელობამ გამოიწვია რ. ს. ფ. ს. რ. მთელ რიგ ორგანოების შექმნა, რომელთაგან თითეულს თავისი სპეციალური ამოცანები აქვს.

ფიზიკური კულტურის საქმეში ხელმძღვანელ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო, რომელიც აერთებს და ათანხმებს ყველა უწყებების და ორგანიზაციების საქმიანობას ამ დარგში.

ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს ამოცანებში შედის ფიზიკური კულტურის მეთოდების მეცნიერული დამუშავება, ფიზიკური განვითარების მეცნიერული კონტროლი და ამა თუ იმ ორგანიზაციაში საქმის დაყენება. ფიზიკური კულტურის ყველა ქვემოთ მდგომი ორგანიზაციები ემორჩილებიან ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს მეცნიერულ, მეთოდიურ და ორგანიზაციული მხრივ.

ყველა იმ ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო დაწესებულებებიდან, რომელთაგანაც შესდგება ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო, ფიზიკური კულტურის საქმე ყველაზე უფრო ახლოა ჯანმრთელობის კომისარიატთან, როგორც ორგანოსთან, რომელიც განაგებს მოზარდი თაობის გაჯანსაღების და ფიზიკურად სწორად აღზრდის საქმეს. ფიზიკურ კულტურას მიზნათ აქვს კაცობრიობის მოდგმის გაუმჯობესება, რასაც განაგებს ჯანმრთელობის კომისარიატი. ამიტომ რ. ს. ფ. ს. რ. გაბატონებულია აზრი, რომ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო უნდა არსებობდეს ჯანმრთელობის კომისარიატთან ან, ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელის ხელმძღვანელობის ქვეშ. როგორც არ უნდა იყოს, ფიზიკური კულტურის საკითხების გადაჭრაში ჯანმრთელობის კომისარიატს პირველი ადგილი უნდა დაეთმოს.

ფიზიკური კულტურის შემდეგ ორგანოს წარმოადგენს ჯანმრთელობის კომისარიატის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც არის სპეციალური, სახელმწიფო, უმაღლესი სასწავლო და მეცნიერულ-პრაქტიკული დაწესებულება ფიზიკური კულტურის დარგში. ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი მიზნათ ისახავს მშრომელთა რესპუბლიკაში ფიზიკური განათლების ხელმძღვანელთა და ინსტრუქტორთა მომზადებას და მასთან ერთად წარმოადგენს ლაბორატორიას ქვეყნის იმ ახალგაზრდა ძალებისათვის, რომლებთაც სურთ ამ ახალი მეცნიერული დისციპლინის საკითხების შესწავლა და დამუშავება.

ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ამოცანებში შედის: 1) ფიზიკური აღზრდის და განვითარების და აგრეთვე შრომის პროცესების საკითხების მეცნიერული დამუშავება; 2) მშრომელი მასსების ფიზიკური კულტურის განვითარებისათვის ხელის შეწყობა და აგრეთვე ამ განვითარების საშვალებების შესწავლა, 3) ფიზიკური კულტურისათვის მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების მომზადება, 4) ექიმებსა და პედაგოგებს შორის ფიზიკური კულტურის დარგში ცოდნის შევსება და 5) ფიზიკური კულტურის ცოდნის პოპულიარიზაცია მცხოვრებთა ფართე მასსებში.

მესამე ადგილი ფიზიკური კულტურის ორგანოებს შორის უჭირავს ფიზიკური კულტურის პროლეტარულ საზოგადოებას. პროლეტარული ფიზიკური კულტურის პირველი საზოგადოება მოეწყო 1920 წლის 7 ნოემბერს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტთან ამ ინსტიტუტის კომიაჩეიკის ინიციატივით. ამ საზოგადოებამ სახელათ მიიკუთვნა „მურავეი“ მან გამოსცა მანიფესტი კლასობრივი ფიზიკური კულტურის შესახებ, რომლის პირველი სტრიქონები საკმაოთ ნათელყოფენ პროლეტარული ფიზიკური კულტურის ამოცანებს: „მძიმე ეკონომიურმა კრიზისმა,—მსოფლიო იმპერიალისტური ომის და ოთხი წლის სამოქალაქო ომის მემკვიდრეობამ,—რომელსაც თან სდევდა სიმშილობა და ეპიდემიები, მუშათა კლასი უკიდურეს ფიზიკურ გამოფიტვამდი, გადაგვარებამდი და ამოწყვეტამდი მიიყვანა, ამიტომ პროლეტარიატის შეგნებული და მოწინავე ნაწილის წინაშე უდიდეს საკითხად დაისვა მუშათა კლასის ფიზიკური გაჯანსაღების ამოცანა ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების და კაპიტალის წინააღმდეგ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის დროშის ქვეშ ახალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მზადების მიზნით და ნორმალურად განვითარებელ, ფიზიკურად და სულიერად ახალი ტიპის შესაქმნელად.

„მურავეი“-მ მოსკოვში დაიწყო ზრდა, როგორც თოვლის გუნდამ: ქარხანა-ქარხანაზე უერთდებოდა ამ ფიზიკური კულტურის წმინდა მუშურ მოძრაობას. „მურავეის“ ცენტრალური საბჭო სცემს ჟურნალს ამავე სახელწოდებით, რომლის პირველი ნომერი შეიცავს პროლეტარული ფიზიკური კულტურის საერთო დახასიათებას და მუშა-ახალგაზრდობისათვის და აგრეთვე საქარხნო-საფაბრიკო მოწაფეების სკოლებისათვის პროლეტარული ფიზიკური კულტურის პროგრამის სანიმუშო სქემებს. პროლეტარული ფიზიკური კულტურის საზოგადოება პარტიისა და სახალხო კომისარიატების წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აყენებს პროლეტარული ფიზიკური კულტურის საშვალებით მუშა-ახალგაზრდობის სოციალურ აღზრდას კომუნისტურ პრიციპების მიხედვით. პროლეტარული ფიზიკური კულტურის მთელი შენობა, ისე როგორც მისი გეგმა, აშენებულია შრომის კოლექტივისტურ მსოფლმხედველობაზე. ამ მიზანს ემსახურება მთელი ორგანიზაციული სქემა. ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც არსებობს რ. კ. პ. ან რ. კ. ა. კ. უჯრედები, ფიზიკური კულტურის უჯრედები ეწყობიან წარმოებითი პრინციპის მიხედვით. საფუძვლად მას უდევს მუშების თვითორგანიზაცია პროლეტარული ფიზიკური კულტურის საზოგადოებებათ. პროლეტარული ფიზიკური კულტურის საზოგადოებებს მეცნიერულ-იდეურ და საექიმო-პედაგოგიური მხრივ ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის კომისარიატი, სოციალური აღზრდის მხრივ კი პარტიული ორგანოები (რ. კ. პ. და რ. კ. ა. კ.). სქემაში დაცულია წარმოებითი პრინციპი და თვითშემოქმედების საფუძველი. თავის მოღვაწეობაში ფიზიკური კულტურის მოსაწყობათ და ფიზიკური აღზრდის მეთოდების გამოსამუშავებლათ მუშების ამა თუ იმ ჯგუფის წარმოებითი პირობების მიხედვით, „მურავეი“ ეყრდნობა ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტს, როგორც ძირითად მეცნიერულ-საორგანიზაციო ბაზას, მუშაობს მისი მეცნიერული კონტროლის ქვეშ და თავისი მშენებლობისათვის სარგებლობს მისი მეცნიერულ-ტეხნიკური ძალებით.

და ბოლოს, ფიზიკური კულტურის ორგანოებს ეკუთვნის „წითელი ფიზიკური კულტურის ორგანიზაციების სრულიად რუსეთის კავშირი“, რომელიც უკანასკნელ დღეებს განიცდის, რადგან ვერ მოიპოვა თანაგრძნობა მუშა-ახალგაზრდობის ფართე წრეებში.

რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის მეხუთე ყრილობამ კატეგორიულათ გაილაშქრა „წითელი ფიზიკური კულტურის ორგანიზაციების კავშირის“ არსებობის წინააღმდეგ, ვინაიდან, პირველ ყოვლისა ის წარმოადგენს მუშა-ახალგაზრდობის მეორე მასიურ ორგანიზაციას, რაც ეწინააღმდეგება რ. კ. ა. კ. პროგრამას და რუსეთში კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობის პრაქტიკულ ინტერესებს და, მეორეთ, ფიზიკური კულტურის წითელი კავშირის არსებობა ზედმეტია ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შექმნის შემდეგ.

მაგრამ მთავარ საბუთს ფიზიკური კულტურის წითელი კავშირის ლიკვიდაციის სასარგებლოდ წარმოადგენს შიში, რომ მასში შეიძლება შეიპაროს წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტი, რომელიც შეეცდება მიმართოს მისი საქმიანობა თავის კალაპოტში.

ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ფიზიკური კულტურის მუშური ორგანიზაციების წვრილ-ბურჟუაზიულ ორგანიზაციებთან გაერთიანების ეს საფრთხე და ყოველის ძალღონით უნდა ვებრძოლოთ პროლეტარული იდეოლოგიის მქონე საზოგადოებების წვრილ-მეშჩანურ იდეოლოგიის მქონე საზოგადოებებთან ერთად ფიზიკური კულტურის ორგანიზაციების წითელ კავშირში გაერთიანების წინააღმდეგ.

ბრძოლა პროლეტარული ფიზიკური კულტურისათვის უნდა სწარმოებდეს მედგრად, რადგან ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი ბურჟუაზიული და ნაციონალისტური სასპორტო საზოგადოებები, რომლებიც პრეტენზიებს აცხადებენ ფიზიკური კულტურის დარგში ხელმძღვანელ როლზე და თავის გავლენის ქვეშ აქცევენ მუშა-ახალგაზრდობის შეუგნებელ ნაწილს. რ. ს. ფ. ს. რ. ასეთ ორგანიზაციების რიცხვს ეკუთვნიან: ჩეხების ნაციონალური სასპორტო საზოგადოება „სოკოლი“ და აგრეთვე სიონისტების „მაკკაბი“, რომელმაც დაითქვა სახელათ „მოლოტ“ და სიონიზმს ავრცელებს ებრაელ ახალგაზრდობაში.

მუშა ახალგაზრდობა უნდა გაიმიჯნოს ასეთ სასპორტო საზოგადოებებისაგან, როგორიც არიან „სოკოლი“ და „მაკკაბი“, მათთან უნდა ვაწარმოოთ გადაჭრილი ბრძოლა პირველ რიგში ჩვენი სასპორტო მუშაობის განვითარებით, და შემდეგ სახელმწიფო ღონისძიებებით, მათი სრული იზოლიაციით, ბოიკოტით, შეჯიბრებაზე არ დაშვებით და სხვა, მათ სრულ ლიკვიდაციამდი.

ყველა ზემოთ-დასახელებულ ფიზიკური კულტურის ორგანოებიდან ჩვენში, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში, გვაქვს მხოლოდ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო, რომელიც მოეწყო ამიერ კავკასიის ცენტრ. აღმასკომის ა|წ. პირველი მარტის დეკრეტით.

ფიზიკური კულტურის საკითხებში ჩვენ ბევრათ ჩამოვრჩით რ. ს. ფ. ს. რ.

ამიტომ ჩვენ ახლავე უნდა შეუდგეთ მთელ რიგ პირველ ხარისხოვან ამოცანების გადაჭრას მუშების და გლეხების ახალგაზრდა თაობის ფიზიკური კულტურის სათანადო დონეზე აყვანის მიზნით.

1. პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა მოვახდინოთ მთელი ძალების მობილიზაცია ამ.-კავ. ს. ფ. ს. რ. ფარგლებში ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შესაქმნელათ.

2. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შექმნამდე ჩვენ უნდა მოვაწყოთ სკოლა ან ყოველ შემთხვევაში მოკლე-ვადიანი კურსები ფიზიკური კულტურის ინსტრუქტორების მოსამზადებლათ.

3. მივაღწიოთ იმას, რომ ფაბრიკა-ქარხნებში ან სხვა დაწესებულებებში მოეწყოს პროლეტარული ფიზიკური კულტურის საზოგადოებები, და აგრეთვე იმას, რომ მუშა-ახალგაზრდობის ფიზიკური კულტურის ინსტრუქტორები ინახებოდეს კულტ-კომისიების ან საქარხნო სამმართველოების ხარჯზე.

4. უნდა შეუდგეთ ფიზიკური აღზრდის გატარებას საბჭოთა შრომის სკოლებში და პირველ რიგში საქარხნო-საფაბრიკო მოწაფეობის სკოლებში.

5. დამუშავებული უნდა იქნას წმინდა მუშური ტან-ვარჯიშობის სისტემა, რომელიც გაადვილებს პროფესიულ ავადმყოფობასთან ბრძოლას.

6. ყოველმხრივ უნდა ვებრძოლოთ კერძო წვრილ-ბურჟუაზიულ ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ გამოსტაცონ ახალგაზრდობა კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის გავლენას.

ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ ზემოთ ჩამოთვლილ ამოცანების შესრულებისაკენ და უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობა შესძლებს სოციალური რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებას და კომუნიზმის გზით მტკიცე ნაბიჯით წასვლას.

გრ. კუპაიძე.

მუშაობის სისტემატიური ხასიათის მიცემა და საბოლოოდ ჩამოყალიბება. პოლიტ-განყოფილებასა და საავიტ-საპროპაგანდო განყოფილების შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და ორივე ეს დაწესებულება მუშაობენ მტკიცე კავშირსა და კონტაქტში სახალხო განათლების განყოფილებასთან. საანგარიშო თვეში ჩატარებულია რამოდენიმე კამპანიები; მათ შორის: გაზაფხულის თესვის კამპანია, 1901 წელში დაბადებულ მოქალაქეთა წითელ ჯარში გაწვევის შესახებ, საზოგადო სამოქალაქო გადასახადის შესახებ და სხვ., ყველა კამპანიები ჩატარდა დამაკმაყოფილებლად.

პოლიტწრეებში მუშაობა გამოცოცხლებულია: ორგანიზაციაში არ არის დარჩენილი წერა-კითხვის უცოდინარი არც ერთი წევრი, რომელმაც რომელიმე ენაზე მაინც არ იცოდეს წერა-კითხვა, რაც შეეხება უპარტიო მასსის მონაწილეობას პარტცხოვრებაში ამ მხრივაც საქმე კარგათაა: უჯრედების სხდომებს ბლომათ ესწრებიან უპარტიონიც.

მუშაობა ქალთა შორის. ქალთა განყოფილებამ ცეკას ქალთა განყოფილებისაგან ახალი გამგის მოსვლასთან დაკავშირებით შესამჩნევად განავითარა თავისი მუშაობა: მოგვარებულია კავშირი ქალ ინსტრუქტორების საშუალებით ადგილებთან, ქალთა განყოფილების გამგე რეგულიარულად ესწრება პარტკომის პრეზიდიუმის და საავიტ-საპროპაგანდო კოლლეგიის სხდომებს და სხვ., აპრილის თვეში მოწყობილი იქმნა შაბათობა ქალაქის ბაღის გასაწმენდათ, რაშიდაც ქალები მხურვალე მონაწილეობას იღებდენ.

ეკონომიური ცხოვრება

ტყავის წარმოება 1923 წ. პირველ მესამედში.

აღნიშნულ დროის განმავლობაში (იანვარი მარტი) მუშაობდა 3 ტყავის ქარხანა, წარსულ წელთან შედარებით ამ წლის პერსონალის შემადგენლობა შესამჩნევათ შემცირდა და შეადგენს წარსული წლის 59 პროც.; შემცირება უფრო მეტათ მოსამსახურეებს შეეხო, ვიდრე მუშებს.

ეხლა ერთ მოსამსახურეზე მოდის 10,5 მუშა. სულ ა. წ. მარტში პერსონალი შეადგენდა 144 კაცს. გასული დროის განმავლობაში წარმოება გამოიხატა შემდეგ ციფრებში: იანვარში დამზადებულია 1,176 ტყავი, თებერვალში 1743 და მარტში 1537, სულ კი 4,456 ცალი.

წარსულ წელთან შედარებით ნაყოფიერება გაიზარდა, მიუხედავათ ერთი ქარხნის (№ 4) დაკეტვისა და მუშების რიცხვის შემცირებისა. შრომის ნაყოფიერება ორჯერ მეტად გაიზარდა.

პოლიგრაფიული საქმე 1923 წ. პირველ მესამედში.

მიმდინარე წლის პირველ მესამედში პოლიგრაფიულ განყოფილებას ჰქონდა 5 სტამბა, 1 ლიტოგრაფია და 1 ასოების ჩამომსხმელი სახელოსნო.

სულ პირადი შემადგენლობა საშუალოთ იყო 507 კაცი, მათგან მუშები 482, წარსული წლის შემადგენლობასთან 17 პროც. მეტი.

აღნიშნული წარმოებების ნაყოფიერება 1922 წ. შედარებით (იანვარი—მარტი) ტვიფარის (ОТТИСК) დამზადებაში გადიდდა 77 პროცენტით, მაგრამ შრიფტებისა და ბარდიურების დამზადებაში შემცირდა 16 პროცენტით.

კოოპერაცია

ცირკულიარულად.

ინსტრუქტორებს და სარაიონო კოოპერატივთა კავშირებს. კოოპერატივების გასაერთიანებლათ და მთლიანი კოოპერატივების შესაქმნელათ.

პატივცემულო ამხანაგებო!

როგორც მოგეხსენებათ საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე უდიდეს ყურადღებას აქცევდა კოოპერატიული მოძრაობის განვითარებას; მან მორიგ ამოცანათ დაისახა კოოპერაციის დაქსაქსული და თითქმის განადგურებული აპარატი მოეწყო ისე, რომ ამ აპარატს მთელი ხალხი შეეკავშირებია და მისთვის სამსახური გაეწია. ეს მიზანი ქონდა 24 იანვრის 1923 წლ. დეკრეტს გამოცემას. დეკრეტი დაყრდნობილია იმ საღ ტენდენციაზე, რომლის განვითარების ხაზი ორი-სამი წელია მოსჩანს საქართველოს კოოპერაციაში: სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას დეკრეტი საფუძვლათ უდებს მთლიან მრავალდუქნიან კოოპერატივებს. მთლიანი კოოპერატივების და მრავალდუქნიან კოოპერატივების ორგანიზაციული სტრუქტურა, როგორც ცნობილია, ერთი და იგივეა; მხოლოდ უმნიშვნელო შესწორება შეაქვს თავისუფალ შეკავშირების ამოცენებას მთლიან კოოპერატივის სისტემაში.

ამნაირად განსაზღვრულ რაიონში არსდება ერთი მთლიანი კოოპერატივი და აკრძალულია, ამავე რაიონში დაარსდეს დამოუკიდებლათ სხვა პარალელური კოოპერატიული ორგანიზაცია. მასთან ერთად დეკრეტი ავალებს ამ მთლიან მრავალდუქნიან კოოპერატივს შეაკავშიროს და გაუწიოს სამსახური თავის სამოქმედო რაიონში მთელ მოსახლეობას.

დეკრეტის ცხოვრებაში გატარება მთლიან კოოპერატივის შექმნის საქმეში—მოითხოვს ფრიად რთულ მუშაობის წარმოებას. საქართველოს პირობებში სიძნელეს წარმოადგენს როგორც ორგანიზაციული ფორმის გამონახვა ახლად შექმნილ კოოპერატივებისათვის, ისე არსებული კოოპერატივების შეერთება, გამომუშავება იმ წესისა და პირობებისა, რომლითაც უნდა მოხდეს გაერთიანება. ამ მუშაობას ისე უნდა ჩატარება, რომ **რეორგანიზაციის შედეგათ მივიღოთ არა უბრალო სასურსათო დუქნები, არამედ ნამდვილი კოოპერატიული ორგანიზაციები.**

თუ ეს მუშაობა უხეიროთ, არა კოოპერატიულად ჩატარდა, მაშინ ჩვენ ორგანიზაციებს მოელის შემდეგი ორი საფრთხე: თუ კი სადმე არსებობენ ნამდვილი კოოპერატიული ორგანიზაციები (ასეთები კი არსებობენ), ისინი მოისპობიან—ერთის მხრით და მეორეთ-კი არა კოოპერატიული გზით ნაწარმოები გაერთიანებიდან. სამომხმარებლო კოოპერაცია გამოვა დასუსტებული, სიცოცხლის ნიშნებს მოკლებული; მთლიანი მრავალდუქნიანი კოოპერატივები გამოვლენ შეკავშირებული არა ორგანიულათ, არამედ მექანიკურად. ამისათვის საჭიროა, რომ ეს მუშაობა სწარმოებდეს სათანადო სიფრთხილით და, რასაკვირველია, უეჭველათ ინსტრუქტორის თანადასწრებით. ამასთან ერთად მუშაობის პროცესში უნდა იქნას ჩაბმული ყველა ის აქტიური ძალები, რომელთაც შეუძლიათ ამ დიდ საქმეს გაუწიონ ხელმძღვანელობა.

I.

პირველი საკითხი, რომელიც ორგანიზატორების წინაშე იჭრება, არის მთლიანი კოოპერატივის რაიონის სივრცის საკითხი. რაიონის შესახებ შეიძლება გამოითქვას შემდეგი საერთო მოსაზრება: საჭიროა მთლიანი კოოპერატივების რაიონის სივრცე მაინც და მაინც არ გადიდდეს, რაც შეიძლება კოოპერატივების ნაკლებმა რიცხვმა დაკარგონ თვითმოქმედების და ინიციატივის გამოჩენის საშუალება.

ცეკავშირმა უკვე დაამტკიცა მთლიანი კოოპერატივების ქსელის სქემა. დამტკიცებულ სქემაში ცვლილებების შეტანა შესაძლოა, თუ ამას ადგილობრივი პირობები მოითხოვს; ეს უკანასკნელი კი უნდა იქნას დასაბუთებული ცეკავშირის წინაშე. ასეთი საბოლოოთ შეთანხმებული და დამტკიცებული ქსელი უკვე ხდება სავალდებულო და მთლიანი კოოპერატივს შენება მის ფარგლებში სწარმოებს.

სდგება გამომუშავებულ რაიონების რუქები, სადაც აღინიშნება მთლიან კოოპერატივის ცენტრი, რაიონში არსებული და გასახსნელათ განზრახული განყოფილებები, შემოხაზვით იმ დასახლებულ პუნქტებისა, რომლიც შედის ამა თუ იმ განყოფილების სამოქმედო რაიონში. გამომუშავებული ქსელი ასეთი რუქებით იგზავნება ცეკავშირში.

II

ამას შემდეგ სდგება საკითხი თუ რა წესით და ფორმებით უნდა სწარმოებდეს კოოპერატივთა გაერთიანება, განყოფილებათ გადაქცევა და მთლიანი მრავალდუქნიანი კოოპერატივის შესაქმნელათ.

ამ მუშაობის ჩასატარებლად უნდა შესდგეს, როგორც გამაერთიანებელ, ისე გასაერთიანებელ კოოპერატივებისაგან „წარმომადგენელთა საბჭო". ამ წარმომადგენელთა საბჭოში კოოპერატივები გზავნიან წარმომადგენლებს წევრთა რიცხვის პროპორციის მიხედვით. წარმომადგენელთა საბჭო იკრიბება მოთხოვნილებისადაგვარად. საბჭომ უნდა გამოყოს თავის წრიდან „საორგანიზაციო კომისია" მიმდინარე მუშაობის საწარმოებლათ.

საორგანიზაციო კომისიის ხელმძღვანელობით თითეულ გასაერთიანებელ კოოპერატივში ხდება წევრთა საერთო კრება, სადაც უნდა იქნას განმარტებული ის ამოცანები, რომელსაც ისახავს კოოპერატიული აპარატის რეორგანიზაცია. ამ კრებაზე გამოაქვთ დადგენილება ამა თუ იმ კოოპერატივთან გაერთიანების შესახებ, იხილავენ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც უნდა დაიდოს გასაერთიანებელ და ცენტრალურ კოოპერატივებს შორის და ამისათვის ირჩევენ რწმუნებულთ ან გამგეობას და ანდობენ ხელშეკრულების დადებას

III.

თუ გასაერთიანებელ კოოპერატივების ბალანსიდან ირკვევა, რომ მის დავალიანებასა და ქონებას შორის არ არსებობს ერთნაირი წონასწორობა იმ მხრით, რომ პასივი აღემატება აქტივს და, ამნაირათ, მიუღებელია გამაერთიანებელ კოოპერიტივისათვის (ვინაიდან არ შეიძლება ახლათ შექმნილ ორგანიზაციამ იკისროს სხვისი ვალების გადახდა), მაშინ წევრებს მოუხდებათ ასეთი კოოპერატივის ლიკვიდაცია; ლიკვიდაცია სწარმოებს მთლიანი კოოპერატივის ხელმძღვანელობით, თანახმად კოოპერატივის ძველი წესდების.

მაშასადამე, ახლათ დასაარსებელი მთლიანი კოოპერატივი იერთებს ისეთ კოოპერატივს, რომლის აქტივი აღემატება პასივს ან და, ყოველ შემთხვევაში, დავალიანებასა და ავლადიდების შორის არსებობს წონასწორობა.

IV.

გაერთიანების დღეთ ითვლება ის დღე, როცა გამაერთიანებელი კოოპერატივის გამგეობა მიიღებს გასაერთიანებელი კოოპერატივის ქონებას. გადაცემა სხვა და სხვა საქმეებისა, ხელშეკრულებების, ვალდებულებების და სხვ. შეიძლება მოხდეს შეერთების დღის შემდეგაც.

გაერთიანების დღეს გამაერთიანებელი კოოპერატივის წარმომადგენლის თანადასწრებით ხდება აღწერა საქონლის, სალაროს, ინვენტარის, უძრავი ქონების და სხვ. ქონებისა. საქონლის გადაცემასთან ერთათ სდგება ვრცელი ოქმი, რომელსაც თან უნდა დაერთოს გამგეობისაგან დადასტურებული კრედიტორების სია.

თუ კოოპერატივის ბალანსის შედგენა ანგარიშის ცუდი დაყენების მოხებით წარმოადგენს სიძნელეს და მოითხოვს დიდ დროს, მაშინ საზოგადოების საქმის გადაცემა შეიძლება მოხდეს ქონებისა და ვალდებულებების ფაქტიური აღრიცხვის საშუალებით. საქმეების გადაცემისას სდგება საზოგადოების ბალანსი.

V.

გაერთიანების დღიდან საზოგადოება, როგორც იურიდიული პიროვნება, ისპობა. გაერთიანებული საზოგადოების ყოველნაირი ოპერაციები სწარმოებს მხოლოდ მთლ. კოოპერატივის სახელობაზე. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ განყოფილებაშიაც მომხმარებლების თვითმოქმედებამ თავი უნდა იჩინოს. ამისათვის, თუ ამას ადგილობრივი პირობები მოითხოვენ, მთლიანი კოოპერატივის სამოქმედო რაიონი უნდა იქნას დაყოფილი ქვედა რაიონებათ და მათ მიეცეს ერთნაირი ავტონომია. მაგრამ რაიონის ქვედა რაიონათ დაყოფამ და ერთნაირ ავტონომიის მიკუთვნებამ არ უნდა დაარღვიოს მთლიანი კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობა. ყოველ შემთხვევაში უფლებები თანხებზე, ქონებაზე და სხვ. უფლებები, რომელნიც გამომდინარეობენ ყოველნაირ ხელშეკრულებებიდან, უნდა ეკუთვნოდეს არა ამა თუ იმ ქვედა რაიონს, არამედ მთლიან კოოპერატივის გამგეობას.

მეორე სხდომა შესაერთებელი კოოპერატივის წევრებისა, როგორც ეს სანიმუშო ხელშეკრულებიდან სჩანს, ხდება საქმის გადაცემას შემდეგ და მიზნათ ისახავს ანგარიშის დამტკიცებას შეერთების შემდეგ და მოხსენების მოსმენას გადაცემის შესახებ.

VI.

გაერთიანებული კოოპერატივის საქმეების მიღების შემდეგ (ან და უმრავლესობის საქმეების მიღების შემდეგ მაინც) იწვევს საერთო (რწმუნებულთა) ყრილობას. ამ ყრილობაში მონაწილეობას ღებულობენ ახლად შეერთებული კოოპერატივების წარმომადგენლებიც; თუ გამაერთიანებელ კოოპერატივს განაგებდა რწმუნებულთა ყრილობა, მაშინ ახლათ შემოსული წევრები ირჩევენ რწმუნებულებს: თუ კი ახალ წესდებას შემოაქვს რწმუნებულთა ინსტიტუტი, იმ შემთხვევაში ყველა საზოგადოებიდან ხდება რწმუნებულთა არჩევა. ამ რიგათ მოწვეული საერთო ყრილობა ამტკიცებს გამგეობის მოქმედებას კოოპერატივების შეერთების შესახებ. იღებს მთლიან კოოპერატივის წესდებას და ირჩევს მმართველ ორგანოებს.

ცეკავშირის სეკრეტარიატის გამგეობის თავმჯდომარე **მ. ტოროშელიძე.**

საინსტრუქტორო-საორგანიზაციო განყოფილების გამგის მაგიერი **ალ. ცაგარეიშვილი.**

სამაზრო სასურსათო კომიტეტის თათბირი

მეორე სხდომა.

სხდომა დეტალურად ეცნობა მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების ინსტრუქციას, რომელიც 57 მუხლს შეიცავს. ამავე სხდომაზე დამტკიცებულ იქნა სიების შედგენის, რაიონების მოსავლიანობის გამორკვევის ვადა და აგრეთვე ვადა იმის გამოსარკვევად, თუ რომელი რაიონი გადაიხდის ფულით, ან ნატურით. ამავე სხდომაზე დადგენილ იქნა სთხოვოს სამხედრო კომისარიატს გასცეს ბრძანება სამაზრო სამხედრო კომისარიატებზე, რათა უკანასკნელებმა ამ თვითვე მისცენ სათანადო მოწმობები ინსტრუქციის მე 50 მუხლში ნაჩვენებ პირთ წითელ არმიელთა ოჯახებს, სამოქალაქო ომის ინვალიდებს—მათი გადასახადისაგან განთავისუფლების მიზნით.

საკურორტო სამმართველოში

აგარაკები.

მთავარ საკურორტო სამმართველოს აღრიცხვაში მყოფი ყველა აგარაკები 3 კატეგორიად არის დაყოფილი:

1. აგარაკები დანიშნული სანატორიუმებისა და პერსონალისთვის.
2. აგარაკები პასუხისმგებელ მუშაკებისთვის.
3. საიჯაროდ გასაცემი აგარაკები.

კომისიამ გამოიმუშავა პირობები მოიჯარადრეებისთვის და დააწესა საიჯარო გადასახადი.

იჯარის პირობები.

აგარაკზე ოთახები, კურზალები, რესტორანები, სასტუმროები და სავაჭრო დუქნები უნდა გაიცეს იჯარით მოკლე ვადით (2—3 წელიწადი) ამავე დროს იჯარის ვადა უნდა შეუთანხმდეს ყოველ ცალკე შემთხვევაში საქმის ტეხნიკურ გაცნობის შემდეგ კომისიამვე უნდა დააწესოს საიჯარო გადასახადი. ფასები ვანებით სარგებლობისთვის დააწესოს კომისიამ.

აბასთუმანის სანატორიუმი.

სამშენებლო ტეხნიკურ განყოფილებას მიეცა 500 მილიონი მანეთი აბასთუმნის რემონტისათვის, ყოველგვარი მასალა წაღებულ იქნება ბორჯომიდან, კვალიფიციური მომუშავენი მოინახება ტფილისში, ხოლო დანარჩენი ადგილობრივ.

აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს მიეცა 200 მილიონი სანატორიუმისთვის საიჯარო ინვენტარის დასამზადებლად.

ბორჯომის სანატორიუმი.

საკურორტო მმართველობის კოლლეგიამ სასურველად სცნო ბორჯომში სასტუმროსა და სასადილოს გახსნა. ამის შესახებ მოეწყოს საერთო შეჯიბრება.

ბინა კავშირებს.

კოლლეგიამ დაადგინა მეტყევეთა პროფკავშირის სეკრეტარიატის შუამდგომლობა კოჯორში ხსენებულ კავშირის წევრებისათვის 8 ოთახის გადაცემის შესახებ, დაკმაყოფილებულ იქნას და მიეცეს მას ერთი დიდი სახლთაგანი საერთო საიჯარო პირობების მიხედვით.

შუამდგომლობის აღძვრა.

კოლლეგიამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა სახელმწიფო მშენებლობის გზათა განყოფილების წინაშე, რათა შეკეთებულ იქნეს ახალციხესა და აბასთუმანს შორის გაფუჭებული გზა.

ბორჯომის გამგე.

კოლლეგიის მიერ ბორჯომის აგარაკების გამგეთ დაინიშნა ექიმი ლომინაძე.

აბასთუმანის ვანები.

საკურორტო სამმართველოს კოლლეგიამ აბასთუმანში ვანებით სარგებლობისათვის შემდეგი ფასი დააწესა.

1) პროფ-კავშირის წევრებისათვის — 10 კაპ. ოქროთი.
2) ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის—15 კაპ. ოქ.
3) დანარჩენ მოქალაქეთათვის— 25 კაპ. ოქ.

სანატორიუმში მყოფ ავადმყოფებს ვანებით უფასო სარგებლობის უფლება აქვთ.

თეატრი

ამავე კოლლეგიამ დააწესა აბასთუმნის თეატრის საიჯარო ფასის რაოდენობა ზაფხულის სეზონისათვის.

1) მოიჯარადრე იხდის 10 პროც. ყოველ წარმოდგენის შემოსავლიდან.
2) ანტრეპრენიორი კურორტების მთავარ სამმართველოს ავადმყოფების სასარგებლოთ 3 წარმოდგენას მართავს.
3) 10 უფასო ბილეთი უნდა ექნეს წარმოდგენაზე დასასწრებლად აბასთუმნის კურორტების სამმართველოს.

სასტუმროები.

კოლლეგიამ დაადგინა გასცეს იჯარით მიჩქოვისეული სასტუმრო შემდეგ მინიმალურ პირობებში.

1) წლიური საიჯარო გადასახადი 400 მან. ოქროთი.
2) ხსენებულ სასტუმროში ხუთი ყოველმხრივ მოწყობილი ოთახი უფასოდ უნდა მიეცეს კურორტების მთავარ სამმართველოს.
3) საიჯარო გადასახადი უნდა შეტანილ იქნეს შემდეგი წესით: პირობების ხელის მოწერის დროს პირველი ნახევარი და 1 აგვისტომდე მეორე ნახევარი.

კამოს სახელობის საბავშო სახლი

ჩვენი სახლი იმყოფება ახალ-ბებუთოვის ქუჩაზე. ეს სახლი უკვე ერთი წელიწადია, რაც გახსნილია, მაგრამ თავიდან ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. ამ უკანასკნელ თვეებში ანუ გაზაფხულის დამდეგიდან სახლმა სიცხოვლე იგრძნო. როგორც კარგი გამოცდილი ბეჯითი კაცი შეუდგება ჯერ კიდევ ახალ დაწყებულ ოჯახზე ზრუნვას, ისე ჩვენმა ბავშვები ხალისით და გულმოდგინეთ შეუდგნენ თავის ოჯახის მოწყობას, დაარსეს სხვა და სხვა ღირსშესანიშნავი წრეები და წიგნთ-საცავ სამკითხველო.

კერძოდ სამკითხველოს საქმე, უნდა ითქვას, წარჩინებულათ მიდის. პირველათ ამ საქმეს ხელი მოვკიდეთ უფროსმა ანუ ქართველმა ჯგუფმა, მას შემდეგ კი მოგვემატა მსურველები სამკითხველოს წევრობისა. ამ ჟამათ მთელი საბავშვო სახლი, როგორც ფუტკარი, გარს ეხვევა სამკითხველოს მზრუნველობით. ბავშვებმა დიდი აღფრთოვანებით მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს, შემდეგი მოწოდებით:

ყველა საქმეს მოეკიდეთ
გაამხნევეთ გვერდზე მდგომი,
რატომ თქვენ არ გვეხმარებით,
ჩვენ თუ კი ვართ საქმის მდომი.
წამოდექით, თქვენც ნუ გძინავთ
და მოჰკიდეთ საქმეს ხელი;
განათლება და წიგნები—
ეს არის მხოლოთ ჩვენი მხსნელი.
ძმაო, აბა გაიღვიძე
ეს წიგნია; შენ, მკითხველი.
წიგნი არის ობოლთა და
დაჩაგრულთა სევდის მყრელი
მოუაროთ, გავამრავლოთ
წიგნი, ჩვენი საყვარელი.

ეს არის ჩვენი სახლის მისწრაფება და ამ მისწრაფებაზეა ავაგეთ ჩვენი წიგნთ-საცავ სამკითხველო. თუმცა იგი ჯერჯერობით ღარიბია წიგნებით, მაგრამ ნათქვამია: „ღარიბი კაცის პურის ჭამა მადლიანიაო". ასე ითქმის ჩვენს სამკითხველოზედაც, აგრეთვე უნდა ითქვას, რომ ყველა ადამიანი იმედით ცხოვრობს და ჩვენც იმედი გვაქვს—წიგნები შეგვემატოს; ეს იმედი ჯერჯერობით მართლდება.

სამკითხველოს წრემ ამოგვირჩია ორი ბავშვი, რომელთაც უნდა გვეშუამდგომლა სახალხო განათლების კომისარიატში ახალი წიგნებისა და ჟურნალების უფასოდ დათმობის შესახებ. სახალხო განათლების კომისარმა დიდი ყურადღება მიაქცია ჩვენს თხოვნას, გამოგვიწერა ახალი წიგნები, ჟურნალები და მომავალშიაც დაგვპირდა მათ გზავნას, რაზედაც მთელი კამოს სახელობის საბავშვო სახლის სახელით დიდ მადლობას უცხადებთ სახალხო განათლების კომისარს დ. კანდელაკს.

ბიჭი ბესო.

თბილისის მუშების პროტესტი

საერთო საქალაქო მიტინგის რეზოლიუცია.

გაიგო რა ინგლისის მთავრობის თავხედური ულტიმატიუმისა და ფაშისტების მიერ ამხ. ვოროვსკის მოღალატურად მოკვლის ამბავი, თბილისის მუშები, წითელ არმიელები და ყველა მშრომელების კრება პროტესტს გამოთქვამს იმპერიალისტებისა და ფაშისტების განზრახვების წინააღმდეგ, რომლითაც მათ სურთ ახალი ომი მოახვიონ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს. თბილისის მუშები, წითელ არმიელები და ყველა მშრომელები მოითხოვენ საბჭოთა მთავრობისაგან არამზადა მკვლელებისათვის ღირსეულ პასუხის გაცემას და წინააღმდეგობის გაწევას. კრება აცხადებს, რომ ყველა, როგორც ერთი კაცი მზათ არის პირველ დაძახებისთანავე იარაღის ქვეშ დადგეს. არც ერთი ჩვენთაგანი უკან არ დაიხევს თავ აშვებულ მტაცებლების წინაშე. საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია შეასუსტოს რევოლიუციონური კავშირი დაჩაგრულ აღმოსავლეთთან, რასაც ჩვენგან კაპიტალისტები მოითხოვენ. დეე იცოდენ პროლეტარების და ყველა დაჩაგრულების ჯალათებმა, რომ საბჭოთა ფედერაცია კოლონია არ არის და არც რურის ოლქი.

ვერ შეგვაშინებს ჩვენ ვერც ულტიმატუმები და ვერც მკვლელობა ზურგის უკან.

ძირს კაპიტალიზმი, რომელიც ახალ ომს უმზადებს ქვეყნიერებას.

ძირს საერთაშორისო ფაშიზმი.

ძირს დაჩაგრულ აღმოსავლეთის ჯალათი ლორდი კერზონი.

სიკვდილი ბურჟუაზიას.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების რევოლიუციონურ კავშირს აღმოსავლეთის დაჩაგრულ დამონებულ ხალხებთან.

გაუმარჯოს ევროპის პროლეტარიატს.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა სახელოვან წითელ არმიას.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას და მთელი ქვეყნის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.

კრების თავმჯდომარე **ივანოვ-კავკასკი.**

მდივანი **ყურულაშვილი.**

ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში.

ჩვენ ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტებმა, მოვისმინეთ რა ამხ. კახიანის მოხსენება ინგლისის თავხედურ ნოტის შესახებ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის მიმართ, ულრმეს პროტესტს ვაცხადებთ ნოტისა და ჩვენი წარმომადგენელის ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ინგლისის და საერთაშორისო იმპერიალიზმის მორიგი პროვოკაცია ჩვენ ვერ შეგვაშინებს: ჩვენ ხელს გაუწვდით საერთაშორისო და კერძოდ ინგლისის მუშათა კლასს, რომელმაც აგრეთვე აიმაღლა თავისი ხმა ლორდების ბონარ ლოუსა და კერზონის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ და მასთან ერთად დავიცავთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, სადაც პირველად საბოლოოდ გაიმარჯვა მშრომელთა ხელისუფლებამ.

კერზონის მთავრობის მოთხოვნილებას, ინგლისის, ინდოეთის და სხვა რევოლიუციონერებისათვის დახმარების შეწყვეტის შესახებ, ჩვენ ერთხმად მთელი ქვეყნის გასაგონათ უპასუხებთ—გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას მეტროპოლიაში და მის აღმატებულების დიდი ბრიტანეთის მეფის კოლონიებში.

პოლიტეხნიკუმის სტუდენტობა გაყობა პეტერისა და მოსკოვის თავის უფროს ამხანაგებს. წითელი საყვირის პირველ დაძახებისთანავე ის დადგება პროლეტარიატის რიგებში სოციალისტურ სამშობლოს დასაცავად.

ძირს ინგლისის იმპერიალიზმი.

ძირს კერზონის მთავრობა.

გაუმარჯოს საბჭოთა ინგლისს.

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.

თავმჯდომარე **სტეპანოვი.**

პროფკავშირებში

სრულიად საქ. განათლების მუშაკთა ცენტ. გამგეობის მოქმედების ანგარიში.

საორგანიზაციო მუშაობა.

კავშირი ადგილებთან.

ახალმა გამგეობამ პროვინციასთან კავშირის გაბმას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. პროვინციასთან ცოცხალ კავშირის გასაბმელად გამგეობამ მიავლინა პრეზიდიუმის წევრნი განყოფილებათა მდგომარეობის ადგილობრივად შესასწავლად. გამოკვლეულ იქნა სოხუმის (აფხაზეთი), ბათომის (აჭარა), ფოთის, ახალსენაკის, თელავის, ქუთაისის, ოზურგეთის და რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო განყოფილებანი.

თბილისის მაზრის რაიონებად დაყოფა.

სრულიად მოწყვეტილ თბილისის მაზრაში რაიონულ ორგანიზაციების მოსაწყობად გაიგზავნა ინსტრუქტორი, რომელმაც მწყობრად ჩაატარა ორგანიზაციის საქმე. ამ ჟამად თბილისის მაზრა დაყოფილია 9 რაიონად, თვითეულ რაიონში დაარსებულია ადგილკომი და საკონფლიქტო-შემფასებელი კომისია.

ფინანსები.

უმთავრესი ძირითადი ამოცანა არის ფინანსიურ საკითხის მოგვარება. არ არსებობდა არავითარი ფონდი და ხარჯთ-აღრიცხვა. ამ ჟამად სწარმოებს კუთვნილ პროცენტების გადარიცხვა, როგორც ცენტრ. კომიტეტის, ისე საქ. პროფკავშირთა საბჭოში. კულტგანათლების ფონდიდან 15 პროც. ყოველთვიურად ირიცხება საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებაში. მიმდინარე წლის დასაწყისიდან გამგეობა გადავიდა ხარჯთ-აღრიცხვითი არსებობაზე.

სტატისტიკა.

საანგარიშო პერიოდში აღრიცხული მასალა რამდენიმე ფორმათაა გადამუშავებული, შედგენილია წევრთა რაოდენობის განაწილება სამაზრო განყოფილებებში და ადგილკომებში. სწარმოებს პროვინციიდან მიღებულ მასალების გადამუშავება.

სახსარი ადგილკომების შესანახად.

განათლების კომისარიატთან გენერალურ კოლექტიურ ხელშეკრულების თანახმად, განათლების მუშაკთა საერთო ხელფასიდან (რესპ. მასშტაბით) 1 პროცენტი ეძლევა ცენტრ. გამგეობას ადგილკომების შესანახად, 1 პროცენტი კი კულტმუშაობის საწარმოებლად. ხსენებული თანხა ნაწილდება სამაზრო განყოფილებებზე.

რკინის ლიანდაგის კვანძის კომიტეტი.

თანახმად სათანადო ცირკულიარისა, რკინის გზის ლიანდაგის კვანძის კომიტეტი მოეწყო რკინის გზის სკოლების თანამშრომელთაგან. კომიტეტი რწმუნებულის საშუალებით დაექვემდებარა ცენტრ. გამგეობას.

საბჭოთა მუშაკების დელეგატთა კონფერენცია.

12 მაისს შესდგა საბჭოთა მუშაკე-

ეკონომიური ცხოვრება

ძირტკბილას წარმოების აღორძინება ამიერ-კავკასიაში

მეტად ძნელ პირობებში, თანდათანობით ახერხებდენ საბჭოთა რესპუბლიკები თავიანთ შერყეულ სახალხო მეურნეობის აღდგენას. გარეშე ბაზრებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში დაკარგული იყვნენ ჩვენთვის და სადაც ვეღარ გაგვქონდა საბჭოთა მეურნეობის ნაწარმოები, თანდათანობით ვიპყრობთ და ჩვენი დაუმუშავებელი მასალა საზღვარგარეთ ნელ ნელა იკავებს იმ მდგომარეობას, რომელიც მას უფლებით ეკუთვნის. ამიერ-კავკასიის მეურნეობა უპირველეს ყოვლისა დამყარებულია სასოფლო მეურნეობაზე. ომის დროს სხვადასხვა გვარ გაჭირვების, სიმშილის და საქონლის მოთხოვნილების არ ყოფნის გამო, მრავალი სასოფლო კულტურული დარგები, რომელნიც სოფლის ხალხს ხელს უწყობდნენ მატერიალურ კეთილ მდგომარეობის დამყარებაში და კულტურულ წარმატებაში, სრულებით დაეცნენ. მათი აღდგენა მოითხოვს რამდენიმე წლის ინტენსიურ მუშაობას; ამასთანავე აუცილებელია დახმარება სახელმწიფოს მხრივ. ცხადია, რომ ამა თუ იმ კულტურის აღდგენისათვის საუკეთესო ღონისძიებათ ჩაითვლება უზრუნველყოფა მწარმოებლისათვის მის ნაწარმოების სახეიროთ გასაღებისა. და ამ მხრივ არის საჭირო სახელმწიფოს დახმარება, განსაკუთრებით ნედლ მასალის ექსპორტის საკითხში.

ერთ-ამ გვარ საკულტურო დარგად, რომლის ექსპლოატაცია აძლევდა აზერბეიჯანს ყოველ წლიურათ შემოსავალს არა ნაკლებ ხუთასი ათასი მანეთისა ოქროთი, ითვლება ძირტკბილას წარმოება. ძირტკბილას, რომლითაც დაინტერესებულია აზერბეიჯანში ოცი ათასი გლეხის ოჯახი, უნდა მივაკუთვნოთ უდიდესი მნიშვნელობა მთლიან ამიერ-კავკასიის ეკონომიკისათვის.

ძირტკბილა, რომელიც ცნობილია აზერბეიჯანში „ბიანის" სახელით, იზრდება ხშირად ისეთ ადგილებში, რომლებიც არ ვარგა ხვნა-თესვისათვის: მტკვრის და არაქსის მდაბიო მიდამოებში, კასპის და შავი ზღვის ნაპირებში და მომეტებულად კი განჯის, არეშის, ჯევანშირის, შუშის, და ზაზის რაიონებში; ძირტკბილას არავითარი დამუშავება და ყურის გდება არ სჭირდება გლეხების მხრივ. მათ საქმეს შეადგენს მხოლოდ მისი მოგროვებაში ზამთრის თვეების განმავლობა, სახელდობრ ნოემბრის დასაწყისიდან მარტის ბოლომდე; მერე მის გახმობაში და ქარხანაში მოტანაში. უმთავრესად ინტენსიური მუშაობა სწარმოებს თებერვალში და მარტის „ნავრუზ-ბაირამის" უქმემდის. ამის შემდეგ გლეხები გადიან, ჩვეულებრივ, მინდვრად სამუშაოზე და ძირტკბილის შეკრება ამ ხნის განმავლობაში მეტად სუსტდება. ძირტკბილას შესაკრებად. ჩვეულებრივ, გადიან თითქმის მთელი ოჯახობით, და მოზრდილი აგროვებს დღეში დაახლოებით 4-დან 12 ფუთამდე.

ძირტკბილას, უმთავრესათ, ხმარობენ ექსტრაქტის-ლაკრიცის მოსახარშავად, რომელსაც, როგორც ცნობილია, ამერიკაში და ინგლისში ხმარობენ თამბაქოს კვეს „ჩოკ" გასატკბილებლათ. ამას გარდა ლაკრიცას ურევენ კანფეტებს, ლუდს და სხვა სასმელებს გასასქელებლათ და გასაუმჯობესებლათ. ლაკრიცას აგრეთვე ხმარობენ მედიცინაში გულსალბობ ჩაისათვის, პილიულების მასალათ, სპირტის და სხვა სასმელების მომზადების დროს.

ჩვეულებრივ, სამოც ფუთ გამხმარ ძირტკბილიდან დგება ერთი ფუთი ექსტრაქტი.

მოხარშული ჯირკვი, წვნის გამოწურვის შემდეგ, იხმარება როგორც საქონლის საჭმელი და აგრეთვე როგორც სათბობი მასალა.

ძირტკბილა მოიპოვება ამიერ-კავკასიის გარდა კიდევ მცირე აზიაში, სირიაში, საბერძნეთში, ისპანეთში, იტალიაში, ინდო-ჩინეთში, სამხრეთ რუსეთში, (ვოლგის დაბებში) და სხვა ადგილებში. საუკეთესოთ ისპანეთისა და იტალიის შემდეგ, ითვლება ამიერ-კავკასიის ძირტკბილა.

1885 წლამდის ჩვენმა ხალხმა არ იცოდა, თუ რამდენათ ფასობდა ძირტკბილა და სთვლიდა იმას მხოლოდ პარაზიტულ მცენარეთ, რომელიც აფუჭებს ყანას. უცხოელები, რომელნიც ცდილობენ თავიანთი კაპიტალის საუკეთესოდ ამუშავებას, ნახეს თუ არა ამიერ-კავკასიაში ადგილები, სადაც იზრდებოდა ძირტკბილა, მაშინვე მიჰყვეს ხელი მის წარმოებას. მათ მიერ იყო აშენებული ქარხნები ძირტკბილას გასაშრობად ჯერ ლიაქში, მერე 1890 წ. განჯაში, 1894 წ. ქურდამირის და ასა-იურტის სადგურებზე და ამით ჩაუდგეს მათ საფუძველი ძირტკბილას წარმოებას ამიერ კავკასიაში. ეს ქარხნები დაცულია, გამოცხადებულია სახელმწიფო კუთვნილებად, მათ ექსპლოატაციას აწარმოებს მთავრობა.

ძირტკბილას წარმოება ვერ აიტანს დიდ ხარჯს შეგროვების და გადატანის დროს, ამიტომ, როცა დაიწყო მისი დამუშავება მცირე აზიაში 1894 წელს. ჩვენმა ძირტკბილას წარმოებამ განიცადა დიდი კრიზისი: გამეტებით სამუშაო ხელის სიაფე მცირე აზიაში და ბაზრებთან სიახლოვე იყო მიზეზი მათ ძირტკბილას ღირებულების მეტათ გაიაფებისა. ამან მისცა მათ საშუალება გაეწიათ ჩვენთვის დიდი კონკურენცია. ამ პირობების შექმნის გამო, აქ მომუშავე უცხოელებმა გადასწყვიტეს გაეტანათ მხოლოდ უკვე დამუშავებული ძირტკბილა ე.ი. ლაკრიცის ექსტრაქტი. ამისთვის მათ ააშენეს ქარხნები ლაკრიცის ექსტრაქტის გამოსახდელათ, ამერიკამ თავის ლაკრიცის წარმოების დასაცავად დააწესა დიდი საბაჟო გადასახადი ლაკრიცაზე, რომელიც შეჰქონდათ იქ.

ევროპაში მისი გასაღება მეტათ ძნელი იყო, ვინაიდან მას მოუხდებოდა დიდი კონკურენციის ატანა ისპანეთის ლაკრიცის მხრივ. და აი ამიტომ ლაკრიცის გამოხარშვა ამიერ კავკასიაში, დიდ მასშტაბით, ბუნებრივათ უნდა შეწყვეტილიყო წარმატებით მუშაობდა მხოლოთ ადგილობრივ საჭიროებისათვის ტფილისის ქარხანა, რომელიც ეკუთვნოდა ყოფილ კავკასიის სააფთიაქო ამხანაგობას.

თუ ჩვენ მივმართავთ ომის წინა დროს, ვნახავთ, რომ აზერბეიჯანში ყოველ წელს ამზადებდნენ 2-3 მილიონ ფუთ დაუმუშავებელ ჯირკვს, ანუ ერთ მილიონ ფუთს გამხმარს. რაიონების მიხედვით იგი განაწილებული იყო ასე: უჯარის რაიონი იძლეოდა—600,000 ფუთამდე სეზონის განმავლობაში, ლიაქისა—400—500 ათას ფუთს, არაქსის—500,000 ფ., ყაზახის—200,000 ფ., ქურდამირისა —250,000 ფ., განჯისა—90,000 ფ. და სხვა. 1912—13 წლების ცნობებით, ერთი ფუთი გამხმარი დაუტკეცელი ძირკვი ჯდება ფრანკო-ქარხანა 82,5.

ეხლა ძირტკბილას ექსპორტი წარმოადგენს დიდ ინტერესს ჩვენს მეურნეობაში. მცირე აზიაში ომების გამო შესწყდა იქიდან გამოტანა ჯირკვისა მსოფლიო ბაზარზე, ფასმა მასზე აიწია და ამიტომ ჩვენში შეგროვილი ძირტკბილა შეიძლება მთლად გასაღდეს საზღვარ-გარეთ ამ წარმოების აღორძინება აღმოუჩენს დიდ დახმარებას გლეხობას, მომეტებულათ, ვისაც ნაკლები მიწები აქვთ, ვინაიდან ძირტკბილას დაგროვებას ისინი ანდომებენ მხოლოთ ზამთრის თვეებს, და იგი ხელს არ უშლის მინდვრის სამუშაოს. მომავალ წლებში მოსავალი იქნება საუკეთესო, ვინაიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მიწამ დაისვენა და ეხლა მოიცემა ხშირ და მრავალ ძირტკბილას.

ძირტკბილას დამზადებას შეუდგა მიმდინარე წელს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო ა. ს. ს. ვაჭრობა მრეწველობის კომისარიატთან.

უპირველესად ყოვლისა ძველი მოსავალი ძირტკბილასი, დარჩენილი ქარხანაში, მივყიდეთ ძირტკბილას შემგროვებელის და გამომზადებელის ინგლისის საზოგადოებას კავკასიაში (ყოფილი მფლობელი ძირტკბილას ქარხნებისა აზერბეიჯანში).

თითქმის 550,000 ფუთი დატკეცილი ჯირკვი გაგზავნილია ბათომში და თითქმის ნახევარი დაწყობილია უკვე გემზე. რაც შეეხება ძველ დაუტკეცელ ჯირკვს, ამ დღეებში მანქანები შესწორებული იქნებიან და დაიწყებენ მის შემუშავებას.

პარალელურათ ამასთან იანვრიდან დაწყებული სწარმოებდა დიდძალი მუშაობა ჯირკვის დამზადების მხრივ. უნდა ითქვას, რომ ეს ორგანიზაცია იყო საუკეთესოთ და ფართო კომერციულათ დაყენებული და ამიტომ ეს საქმე ბრწყინვალეთ შესრულდა (რამდენათაც თვალწინ გვაქვს ჩვენ შედეგები) განზრახული გვქონდა დაგვემზადებინა 1,000,000 ფუთი ნედლი ძირტკბილა ანუ 400,000 ფ. გამხმარი. ფაქტიურათ კი პირველ მაისისათვის (ე. ი. თებერვალს, მარტს და აპრილში) დამზადდა 1,200,000 ფ. ნედლი ჯირკვი,რაც შეადგენს 500,000—550,000 ფ. ხმელ ჯირკვს მაშასადამე ძირტკბილას დამამზადებელ ორგანიზაციამ შეასრულა შეგროვების მხრივ 120 პროც. თავის წინასწარ გეგმისა.

ასეთი შედეგი აიხსნება უპირველეს ყოვლისა საქმის წესიერათ დაყენებით. ამ გვარ ჩქარ მუშაობისათვის საჭიროა დიდძალი ფული, რომელიც სწრაფად უნდა გადაცემულ იქნეს, სამი თვის განმავლობაში. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის მმართველობის მიერ გაგზავნილია ძირტკბილა დასამზადებელი ორგანიზაციისათვის 200,000 მანეთი ოქროთი. ამის გარდა ვაჭრობა-მრეწველობის კომისარიატმა მისცა „ბიაზი" (ყოფილ ტაგიევის ქარხნისა) 60,000 მანეთის ღირებულობისა ოქროთი. მაშასადამე სულ დახარჯულა ამ საქმეზე ჯერ-ჯერობით 260,000 მანეთი ოქრო. ცოტა ამაზე მეტი დაიხარჯება აპარატის შენახვაში, ქარხნის რემონტში, ძირტკბილას დატკეცაში, მის ბათომში გადატანაში და გემზე დატვირთვაში. აუცილებლათ საჭირო იყო გლეხებისთვის ჩაგონება ჩვენ ორგანიზაციისადმი ნდობისა, ვინაიდან საბჭოთა მთავრობის მტრები ავრცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს და არწმუნებდნენ ხალხს მასში, რომ სახელმწიფო ფულს არ გადუხდიდა მათ. მაგრამ, როცა გლეხებმა დაინახეს, რომ ძირტკბილაში ფულს ნაღდათ იღებდენ დაიწყეს დაუყოვნებლივ აუარებელ ძირტკბილის მოტანა.

უნდა ითქვას, რომ დამატებით (НАКЛАДНЫЕ) ხარჯები მძიმე ტვირთად აწვება ძირტკბილას. ხარჯთ-აღრიცხვით სჩანს, რომ ერთი ფუთი ნედლი ძირტკბილა ფრანკო პრესი ჯდება 24 კაპ., ხოლო მშრალი 62 კაპ., დატკეცა ღირს 20 კაპ. საორგანიზაციო ხარჯი 7 კაპ.,—სულ მაშასადამე 89 კაპ. რკინის გზის ფრახტი ბათომამდე გვიჯდება 20 კაპ. გემზე დატვირთვა 35 კაპ. და სულ 55 კაპ. ამგვარად ხმელ ძირტკბილას თვითღირებულებასთან შედარებით გადატანა მისი ფრანკო სადგურზე გაგზავნით გვიჯდება 80 პროც.

ძირტკბილას მრეწველობა აძლევს საგულისხმიერო სარგებლობას გლეხებს, ვინაიდან ყოველ მოზრდილ მუშას შეუძლია მოიგოს დღეში 72 კაპეიკიდან 2 მან. 16 კაპეიკამდე. და ამასთანავე იგი აძლევს შემოსავალს სახელმწიფოს, რკინის გზას და ნავთსადგურის მუშებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარ კომერციულ წარმოებაში მომუშავეთა პირადი დაინტერესებულობა, ჩვეულებრივ, შესამჩნევი ფაქტორია, რომლის შედეგი არის შრომის ნაყოფიერების აღმატება. ამიტომ ჩვენ მიერ დანიშნულ არის პრემიები და ტანტემები ძირტკბილის გახმობის, ფასის ეკონომიაში და აგრეთვე იმ შემთხვევისათვის, თუ რაოდენობა დამზადებულ ჯირკვისა აღემატება დანიშნულ ნორმას.

ამ წლის ძირტკბილას კამპანიაში უნდა ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ სახელმწიფომ, აზერბ. ვაჭრ.-მრეწ. კომ. და ამ.-კავ. სახ. ვაჭ სამმ. საშუალებით შესძლო აღედგინა ერთი ძალიან საი- ამიერ-კავკასიის მეურნეობისა და უზრუნველჰყო გასაღება მისი ნაყო- ნტერესო და სახეირო დარგთაგანი ფისა.

ძირტკბილას ორგანიზაციას აქვს საკმარისი ფული, მთელი ოპერაციი მიმდინარე წლისა დამთავრებულ იქნება მხოლოდ სახელმწიფოს საკუთარ საშუალებით და საჭირო არ არი „სათნოების მოყვარულ" უცხოეთის კონცესიონერების რაიმე დახმარება

მომავალ წლის ფინანსიური პერსპექტივა მოსალოდნელია უფრო საუკეთესო, ვინაიდან წასულ წლების და ამ წლის ძირტკბილას მოსავლის რეალიზაციის შემდეგ, ამ ოპერაციის დამაარსებელნი შეჰქმნიან უკვე საკმარის ფონდს და მოახერხებენ შემდეგში განუწყვეტლივ აწარმოონ ეს საქმე. ამის შედეგი იქნება ის, რომ მომავალში ჩვენ აღარ მოგვიხდება მოწვევა კერძო კაპიტალისა საქმის წარმოებისათვის.

ვინაიდან ძირტკბილას მრეწველობას ეძლევა საზოგადო ფედერატიული მნიშვნელობა და ამ საქმის დამთავრებაში დაინტერესებულნი არიან ამიერ კავკასიის რესპუბლიკები, თურქესტანი, დაღესტანი, გადაწყვეტილია დაწყებული საქმე გავაფართოვოთ აქციონერულ საზოგადოების დაარსების საშუალებით. ამ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს 800 მან. ოქრო, რომელიც იქნება დაყოფილი 3.200 აქციებათ, და ამ აქციებში მიიღებენ მონაწილეობას დაინტერესებული ორგანიზაციები. საზოგადოების მიზანი იქნება დამზადება და შემუშავება ძირტკბილასი საბჭოთა რესპუბლიკების მასშტაბით, გაყიდვა, ექსპორტი მისი საზღვარ-გარეთ. თუ მომავალში ბაზარი გვიჩვენებს, რომ ხელსაყრელია და სახეირო წარმოება ლაკრიცის პრეპარატებისა ძირტკბილასაგან, მაშინ შეიძლება, განვაახლოთ ქარხნების მოქმედებაც.

ნ. ამირაღოვი.

მუშათა ცხოვრება

ამხ. გ. ჯაბაური

ძღვ. მუშას ამხ. გ. ჯაბაურს

(მისი 25 წლის მოღვაწეობის გამო)

იმ დროს, როცა ხელოვნება
მტრის კლანჭებში სულს ლაფავდა...
მელპომენის შრომის ტაძარს
ჯოჯოხეთის ცეცხლი სწვავდა.

იმ დროს, როცა ქურუმთა მეფე
შხამ ნაღველით ნავარდობდა,
ჩვენის სისხლით გამაძღარი
გასვრილ ტახტზე ამაყობდა...

იმ დროს, როცა შავი ჯარი
მუშათ უბანს სდარაჯობდა,
ჩვენი მუშა ჯაბაური
მუშების როლს თამაშობდა.

სახელოსნოს ძველი მუშა
არას დროს არ ამაყობდა,
შრომის შემდეგ დაქანცული
მუშის როლებს თამაშობდა.

იმ დროს, როცა დაფარული
კავშირები არსებობდა,
მაშინ გოგი დღე და ღამე
გაბედულად მუშაობდა.

და როდესაც შრომის შვილებს
გულს უკლავდა მწარე სევდა,
მაშინ მხნე და გაბედული
სასიცოცხლო ლექსებს სწერდა.

დღეს, როდესაც მუშა-გლეხმა
გამარჯვების დაჰკრა ზარი,
საზეიმო დღეს უმართავს
მისი მოძმე მუშის ჯარი.

მეც მოვემართე სასიამოთ,
ავამღერე ჩემი ქნარი
და შესაფერ სალამს უძღვნის
ჩემს გოგიას ჩემი თარი.

მუშკორი ვასილ როინიშვილი.

მუშა-მსახიობ გიორგი ჯაბაურის საიუბილეო საღამო.

პარასკევს, 18 მაისს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ დასის მიერ გაიმართება დამსახურებულ მუშა-მსახიობ გიორგი ჯაბაურის საღამო. წარმოდგენილი იქნება: „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით".

ვინ არის ეს გიორგი ჯაბაური?

გიორგი მუშაა, სრულიად უბრალო მუშა, რომელსაც არავითარი უმაღლესი სწავლა-განათლება არ მიუღია. მაგრამ სცენის და სახალხო საქმის სიყვარულს მის გულში ღრმად აქვს ფესვები გადგმული, მას უყვარდა და უყვარს ქართული სცენა. სწამდა მისი მომავალი და ამიტომაც წრფელის გულით ასრულებდა ყოველ გვარ მინდობილებას, თუ კი ის სცენას და საერთოდ სახალხო საქმეს შეეხებოდა. გიორგი სასცენო მოღვაწეობას შეუდგა 1891 წლიდან, ე. ი. ამ 32 წლის წინათ, როდესაც ის სხვა მუშებთან ერთად ქალაქის განაპირა უბნებში მართავდა სახალხო წარმოდგენებს.

უბნებში მისი მუშაობა გაგრძელდა 2 წელიწადს და ბოლოს მან იშოვა სამუდამო ბინა, და ამ ბინაში ჩაყარა ნამდვილი საძირკველი სახალხო წარმოდგენებისა. ეს ბინა იყო ავჭალის აუდიტორია, რომელიც 1893 წ. სახალხო თეატრად მოინათლა. ეს აუდიტორია მუშებმა დაარსეს და ერთი ამ მოღვაწე-მუშათაგანია გიორგი ჯაბაურიც, რომელიც დღიდან ამ აუდიტორიის არსებობისა დღევანდლამდე მუშაობს უსასყიდლოდ და ხშირად თავისი საკუთარის ფულის ხარჯვაც კი უხდებოდა, რადგან მაშინ წარმოდგენების შემოსავალი ცოტა იყო. სახალხო თეატრმა გამოზარდა მეტ წილად ის მსახიობი მუშები, რომელნიც ეხლა სათავეში უდგანან საქართველოს ყველა კუთხის სახალხო წარმოდგენებს.

30 წლის განმავლობაში დიდი დაბრკოლება გამოიარა სახალხო თეატრმა. მაგრამ გიორგი ჯაბაური და მასთან მისი მოწაფენი ისე მაგრად უდგნენ ამ საქმეს სათავეში, რომ დღევანდლამდე პირნათლად მოიტანეს და ჩააბარეს ის საქართველოს მუშებისა და გლეხების საბჭოთა ხელისუფლებას

სახალხო თეატრი თითქმის დაარსების დღიდანვე გარდაიქცა მუშათა პარტიის ნება სურვილის გამომხატველად.

სახალხო თეატრს კავშირი ჰქონდა აგრეთვე ყველა ქარხანა ფაბრიკებთან და უმეტესი ნაწილი ბილეთებისა იქ იგზავნებოდა გიორგი ჯაბაურის მეთაურობით. გ. ჯაბაურის მოღვაწეობა მარტო აუდიტორიაში და ზუბალაშვილის სახალხო სახლში მუშაობით არ განისაზღვრება. რადგანაც იგი მონაწილეობას იღებდა ყველა კუთხეში, სადაც იმართებოდა სახალხო წარმოდგენები; ამხ. გიორგის ხშირად შეხვდებოდით—ნაძალადევში, ვერაზე, ავლაბარში, ხარფუხში, დიდუბეში და სხვ. მაგრამ ამავე დროს გ. ჯაბაური არც პროვინციას ივიწყებდა და ზაფხულობით ხშირად მართავდა იქ წარმოდგენებს ადგილობრივ-მუშათა პარტიულ ორგანიზაციის სასარგებლოდ.

გ. ჯაბაურმა გააკეთებინა აგრეთვე თავის ხარჯით ნეგატივები რევოლიუციონური სურათებისა ნიკოლოზის ჩამოგდების დროისა, რომელნიც ხშირად იბეჭდებოდა მაშინდელ პერიოდულ გამოცემებში; ამხ. ჯაბაური მართავდა ლექციებსაც. გიორგის აქაც აქვს თავისი ცოდნის დაგვარად ნამუშევარი: მან დასწერა პიესა „**მამის ბრალია**"; ლექსთა კრებული „**ვინ რას აკეთებს**", „**შრომის დროს ამონაკვნესი**", „**არ მომკვდარა**" და სხვა. მანვე დასწერა ქართული სახალხო თეატრის ისტორია, რომელშიაც აუარებელი საჭირო და საყურადღებო მასალაა მოგროვილი სახალხო თეატრების შესახებ. გ ჯაბაური რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშაა; მას თავის წარსული სიცოცხლე სიღარიბეში გაუტარებია და მიუხედავად ყველა ამისა, მაინც მას არ მიუტოვებია სახალხო თეატრის საქმიანობა და დღემდე პირნათლად ემსახურება ერთხელ დასახულ მიზანს. ამხ. გიორგის ღვაწლსა და შრომას, იმედია, მიაქცევენ ჯეროვან ყურადღებას და ასეთ უანგარო მოღვაწეს, მუშას ღირსეულად დააფასებს ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობა და მუშებიც.

მუშა ალ. ბ—შვილი.

პირველი შრომის არტელის პურის საცხობის მუშებში.

დასახელებული პურის საცხობი სანამ მუშების ხელში გადმოვიდოდა იყო სასურ. კომისარიატის გამგებლობაში. ა | წ. 15 მარტიდან კი მას მართავს კოლექტიურად შეკავშირებული მუშათა არტელი. არტელის წარმოება დღემდის სასურველად მიმდინარეობდა, რაც აიხსნება ერთის მხრით არტელის მუშათა სიმამაცით და, მეორე, სასურსათო კომისარიატის მიერ ამ არტელისადმი სისტემატიური დახმარებით. არტელის პურის საცხობს აქვს თავის სავაჭრო პურის საწყობები ქალაქის 4-ადგილზე. პურის საცხობი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა სასარგებლოდ; ის სურსათის კრიზისების დროს სუფთად გამზადებულ პურს ხელსაყრელ ფასებში აწვდიდა ქალაქის მცხოვრებთ, უკანასკნელ ხანებში არტელის წარმოება მეტად შეფერხდა და ამ დღეებში მისი წარმოების ჩამორჩენის ნიადაგზე ხდება მომუშავეთა შტატის შემცირება, არტელის მუშები და მისი ადგილკომი საცხობის წარმოების შეფერხების მიზეზად ასახელებენ, მთლიან მუშათა კოოპერატივის გამგეობის აღნიშნულ არტელის საცხობისადმი არა კარგ დამოკიდებულებას. მუშკოპის გამგეობა, აქაური მუშებისა და მისი ადგილკომის აზრით, არ აძლევს მათ საცხობს კანონით მინიჭებულ ნორმითა და რაოდენობით ფქვილს, რომლის განაწილების და გარიგების საქმეც მუშკოპის გამგეობას დავალებული აქვს სახალხო ბანკის მიერ. როგორც წინეთაც ვთქვით, აღნიშნულ პურის საცხობი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მუშებს და ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ, ამიტომ მისი არსებობაც უეჭველად სასარგებლოა. ნამდვილად კი მისი წარმოება შეფერხებულია ამ უკანასკნელ დროს და თუ ეს კრიზისი კიდევ გაგრძელდა, მოსალოდნელია, ეს არტელი სრულიად დაიშალოს. არტელის წევრებად არიან 80 კაცი, ნამდვილი მუშები, მისი დაშლა გამოიწვევს საცხობის ყველა მუშების უმუშევრებად დარჩენას. ამიტომ ყველა ამ გარემოებებზე და დასახელებულ შრომის არტელის მნიშვნელობაზე მივაპყრობთ მუშათა და გლეხთა ინსპექციის და პროფკავშირის ყურადღებას. ძალიან საჭიროა აღნიშნულ არტელს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვინაიდან, თუ წარმოება შეწყდა და არტელი დაიხურა, მაშინ მრავალ წვრილ-ცოლშვილით აღჭურვილ მუშებს დიდი გაჭირვება მოელით მოსალოდნელ უმუშევრობის გამო და თვით ქალაქის ღარიბ მოსახლეობას დიდი ზიანი მოყვება ამით, რადგანაც ის ამ საცხობიდან საგრძნობლად იაფ-ფასებში იძენდა პურს

ინფ კორ. ჩხმელი.

ნაძალადევის თეატრი

კვირას, 13 მაისს ნაძალადევის დრ. წრის მიერ, პავლე ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნა 5 მოქმედებიანი დრამა —„კაი გრაკხი". წარმოდგენის დაწყებამდე ექიმმა ტყეშელაშვილმა ნამდვილი მუშური და გასაგები კილოთი აუხსნა საზოგადოებას, თუ როგორ უნდა ებრძოლოს პროლეტარიატი საშინელ სენს, ჭლექს. მუშებმა სიამოვნებით მოისმინეს ექიმის დარიგება. კარგი იქნება, რომ ამხ. ტყეშელაშვილი კიდევ ესტუმრებოდეს მუშათა უბანს და მზგავს ლექციებს წაიკითხავდეს ნაძალადევის მუშათა აუდიტორიებში. რაც შეეხება თვით წარმოდგენას, მან მოლოდინს გადააჭარბა ასეთი „კაი გრაკხი" კარგი ხანია, არ უნახავს მუშათა უბანს, რასაც ამოწმებს ყოველი აქტის დასასრულს ხანგრძლივი ტაში და ვაშას ძახილი, რისათვის დიდს მადლობას უცხადებთ დრამწრეს და თეატრის ადმინისტრაციას.

მუშკორი ვახო როინიშვილი

მუშათა ქრონიკა

შრომის კანონების დამრღვეველთა გასამართლება

ამ დღეებში შრომის კანონების დარღვევისათვის შრომის ინსპექციის მიერ აქვთ ოქმი შეყენებული შემდეგ ვაჭრებს:

1. **ხათუნუქო სახელოსნოს პატრონს კარაკუმუჩიანს კარაპეტს** (რუსების ქ. № 3), რომელიც ამუშავებდა 3 ხელოსანს, რომელნიც არ იყვნენ დაზღვეული, და რომელთაც საანგარიშო წიგნაკები რევიზიის დროს არ აღმოაჩნდა, საერთოდ წარმოებაში არ არის შრომის დაცვის შესახებ მომქმედი დადგენილებანი და წესები, აგრეთვე შრომ. სახ. კომ. დადგენილებით შემოღებული წიგნები.

2. **გალვანოპლასტიური წარმოების პატრონს ეფრაიმ შტეინგელს** (სოლომონის ქ. № 36), რომელთანაც მუშაობდა 1 ხელოსანი მიხეილ რეიმანი, რომელიც შრომის ბირჟის გარეშეა მიღებული, არ იყო დაზღვეული და არც საანგარიშო წიგნაკი ჰქონდა მას. სახელოსნოში არ არის აგრეთვე შრ. სახკომ. დადგენილებით შემოწმებული წიგნები.

ბის დელეგატთა კონფერენცია.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) საბჭოთა ფედერაციების საერთაშორისო მდგომარეობა; 2) საბჭოთა მუშაკების ცენტ. გამგეობის პლენუმის შესახებ; 3) დელეგატების არჩევნები საქ. პროფკავშირთა ყრილობაზე.

ამხ. რუბენის მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია, რომ საბჭოთა მუშაკები მხარს უჭერენ საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკას და მზად არიან აასრულონ კომინტერნის ყოველგვარი დადგენილება და მოთხოვნილება.

მეორე საკითხის შესახებ კონფერენციამ დაადგინა წინადადება მისცეს გამგეობას, რათა მან პლენუმის ყველა დადგენილებები გაატაროს ცხოვრებაში.

პროფკავშირთა ყრილობაზე არჩეულ იქნა 18 დელეგატი, მათ შორის ამხ. მამია ორახელაშვილი.

ქრონიკა

— ა. | ქ. შრ. სახ. კომ. საქ. რწმუნ. სამმართველო ამით აცხადებს ყველა წარმოება-დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ 17 მაისი უქმე დღეთ არ ითვლება.

განათლების კომისარიატში.

— **სოც აღზრდის სამმართველოში.** ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარმართველობა აუწყებს საბავშო დაწესებულებების ყველა შეფების საყურადღებოთ, რომ მათ შეფობის ქვეშ მყოფ ბავშვებმა ეს სასწავლო წელი გაატარეს სრული სარგებლობით, ბევრი იმუშავეს, მეცადინეობდენ ბეჯითათ და აკეთებდენ ყოველივეს შეძლების დაგვარად; ამიტომ ისინი ღირსნი არიან მიიღონ თავიანთი შეფებისაგან წითელი დროშა და მათთან ერთად შეხვდენ 20 მაისს საქართველოში პირველ საბავშო დღესასწაულს.

ქალაქის აღმასკომში.

— **სახლის ჩამორთმევა.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაამტკიცა კომუნალურ მეურ. კოლეგიის გადაწყვეტილება პლეხანოვის პრ. № 130, მოქ. ეჯუბოვისათვის სახლის ჩამორთმევის შესახებ, რომელიც გადაირიცხა მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლების სიაში

— **შეღავათი.** პრეზიდიუმის დადგენილებით პოეტ გალაქტიონ ტაბიძეს თავის ჟურნალის რედაქციისათვის დაკავებული დარბაზის გადასახადი შეუმცირდა 50 პროც.

— **ცოფიანი ძაღლები.** ვინაიდან უკანასკნელად თბილისში გამრავლდა ცოფიანი ძაღლები, წინადადება მიეცა საალმ. საინჟ.-ტეხნ. ქვეგანყოფილებას გამოუშვას ძაღლების საჭერი ფიერები და დაჭერილ იქნეს ქუჩებში მოხეტიალე ყველა ძაღლები.

— **პრემიის მიცემა.** მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით, მუსულმანურ სკოლების შენობის პროექტების ავტორებს მიეცეთ პრემია. 1-ლი პრემია—გაბ. ტერ-მიქაელოვს, მეორე—გიორ. კალაშნიკოვს, მესამე—ნ. სეკეროვს.

— **სტადიონის მოწყობა.** პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო დააკმაყოფილოს ფიზიკურ-კულტურის უმაღლეს საბჭოს მომართვა ვაკეში სავარჯიშო სტადიონის მოსაწყობათ და დაავალა საადგილ-მამულო განყ. მიიღოს ზომები აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად.

ფოსტ- ტელეგრაფის კომისარიატში

— **ახალი სადგურების გახსნა.** აპრილის განმავლობაში ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის მიერ საქართველოს სხვადასხვა მხარეებში გაიხსნა 22 ტელეგ. სადგური.

კოოპერაცია

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** კოოპ. ცენტრ. კავშირმა დაავალა სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას მოაწყოს ცენტრალური საწყობი სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა, რომლების შეღავათიან ფასებში შეძენის უფლება ექნება დაბა-ქალაქების განყოფილებებს და მშრომელ გლეხობას.

— **საქონლის დათმობა.** კოოპერატივთა ცენტრ. კავშირის გამგეობამ ცეკავშირს დაუთმო სხვადასხვა პირველ მოთხოვნილების საქონელი 62,000 მ. ღირებულების.

რკინის გზაზე.

— **ორთქმავალების შეკეთება.** ორთქმავალების შეკეთების საქმე დიდათ გაუმჯობესდა-ამ დარგში შრომის ნაყოფიერება გაუთანასწორდა ომამდე არსებულ მდგომარეობას. თვეში კეთდება დაზიანებული 4—5 ორთქმავალი მსუბუქათ დაზიანებული—17—18. სულ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან შეკეთებულ იქნა 313 ორთქმავალი.

— **ვაგონების შეკეთება.** სასწრაფოთ ხდება აგრეთვე ვაგონების შეკეთება. დღემდე შეკეთებულია სამგზავრო ვაგონები 838, საბარგო—4577.

შრომის ბირჟა.

— **უმუშევრები.** 15 მაისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 585 უმუშევარი. ამავე დღეს ჩაეწერა ახალი უმუშევარი—196. გაიგზავნა სამუშაოზე 54, აქედან ქალი—13, კაცი 41.

გამომცემლობა.

— ამ დღეებში გამოვა იაკინთე ლისაშვილის წიგნი. წიგნში მოთავსებულია ლექსები და მინიატიურები, შეიცავს 48 გვერდს, იბეჭდება კარგ ქაღალდზე და ეღირება ცალი ერთი აბაზი ოქროთი.

ხელოვნება

სამშაბათი 15 მაისი. მსახიობ ქალის კარელინა-რაიჩის გასტროლები სახელმწიფო პატარა თეატრში. „შავი ყორნები" კომ. 4 მოქ.

კაცობრიობის დაჩაგრულ ნაწილის დასამონავებლად გაბატონებულმა კლასებმა სხვა იარაღთან ერთად რელიგიაც გამოიყენეს. გაუნათლებელ და ბნელ ხალხში ადვილი იყო ყოველგვარ ცრუმორწმუნოების გავრცელება და ამ მიზანს ერთგულად ემსახურებოდენ ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული ეკლესიის „წმინდა მამები". ამ წმინდა მამების ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედების შესახებ ჯერ კიდევ დიდი ხანია არსებობდა სხვა და სხვა ცნობები. მიუხედავათ იმისა, რომ ისინი თითქო მოწოდებულნი იყვნენ ღარიბ-ღატაკთა დასაცავად, ისინი თავის მოქმედებით უკანასკნელ ტყავს აძრობდნენ ამ ღარიბ ხალხს და თავის ჯიბეს ისქელებდნენ. საშინელი გარყვნილება და უზნეობა იყო გავრცელებული ეკლესიის მსახურთა შორის. ამ ქვეყანას მოშორებული, სადღაც პიტალო კლდეზე აშენებულ მონასტერში ჩაკეტილნი ისინი უსირცხვილოდ ყვლეფდნენ და ყვნიდენ მათდამი ჯერ კიდევ მორწმუნე ხალხს და ამ ბნელ მოღვაწეობაში ისინი არავითარი საშუალების წინაშე არ სდგებოდენ თავისი მსხვერპლის შესამუსრავათ. ის, რაც ამ მხრივ რუსეთში ხდებოდა. ყოველ გვარ წარმოდგენას აღემატება. ამ თემაზეა დაწერილი პროტოპოპოვის პიესა „შავი ყორნები". პიესის სიუჟეტი მარტივია. ერთ-ერთ მონასტრის მონოზნები დაარწმუნებენ ახალგაზრდა ქალს ელენა კრაევას რელიგიის ძლიერებაში და გააბედვინებენ მას, ცოდვების მონანიებისა და იმ ქვეყნიურ ცხოვრების მოსაპოებლად მონასტერში შესვლას. აქ იწყება მისი სულიერი და ხორციელი ტანჯვა იმ დრომდი, სანამ მას არ გამოგლეჯს გამხეცებულ ბერების კლანჭებიდან მისი სატრფო-სტუდენტი. პიესის მთელ მანძილზე მოცემულია. მონასტრის „წმინდა მცხოვრებთა" გარყვნილი ცხოვრების სურათები. აქ თავი მოუყრია ორივე სქესის შანტაჟისტთა მთელ ხროვას, რომელიც ყოველგვარ საშუალებით სცდილობს მორწმუნე ხალხის ხელში ჩაგდებას მათთვის ქონების გამოტყუებას და შემდეგ მის უენო-მანქანეთ გახდომას; თუ ვინიცობაა მსხვერპლი გაიგებს ბერების შანტაჟისტურ მოქმედებას და პროტესტის გამოცხადებას მოინდომებს, ისინი მას ახრჩობენ და „იმ ქვეყანას" ისტუმრებენ. აქ ნათლად არის დახატული ის საზიზღრობა და სიმხეცე, რომელსაც ეკლესიის მამები სჩადიოდენ გაუნათლებელ და უენო ხალხის წინააღმდეგ. პიესის მთავარი მიზანია დაანახოს საზოგადოებას ბერ-მონაზვნების გარყვნილება და მათი ზედმეტობა საზოგადოებისათვის. ამ მხრივ პიესაში მოცემულია ცოცხალი ტიპები. შეიძლება პიესა ცოტათი ტენდენციური იყოს და ამ მხრივ მისი მხატვრული ნაწილი მოიკოჭლებს, მაგრამ პიესის მთავარი მიზანი იმდენათ საგულისხმოა, რომ მისი გამართლება მარტო ამ მიზნით შეიძლება. პიესას დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს მიმდინარე ანტირელიგიურ კამპანიას. ჩვენ გვგონია ზედმეტი არ იქნებოდა მისი ქართულ ენაზე გადმოთარგმნა და პროვინციებში დადგმა.

ორიოდე სიტყვა დადგმა-შესრულებაზე. პიესა სუსტათაა დადგმული. დეკორაციების და მოწყობილობის სიღარიბე ნათლად ეჩჩნეოდა პიესის მსვლელობას. მაგალითად, მონასტრის სცენა მეტად უფერული იყო. მოწყობილების მხრივ მაყურებელი ვერ გაიგებდა სცენაზე მონასტერი იყო, თუ სხვა რამ.

გაიძვერა და გარყვნილ მონაზონის ბარბალეს მშვენიერი სურათი მოგვცა კარელინა-რაიჩმა. მსახიობმა ნათლად გადაგვიშალა მონაზონის ქურქში გახვეულ უზნეო და შანტაჟისტ ქალის ფსიქოლოგია და მძაფრ ფერებით დაგვიხატა მისი სულიერი ავლა-დიდება. კარგი იყო მსახიობი უკანასკნელ სცენაში, სადაც ის „წმინდანთან" ერთად უსირცხვილოდ დასცინის მორწმუნე ხალხს და თავის დებს და თავის მოტყუების მოხერხებულ ხერხზე მოგვითხრობს. „წმინდა მამის" კარგი სურათი დაგვიხატა მოქ. ბრიანსკიმ. მისი გრიმი და გარეგნობა ნათლად გამოხატავდა იმ სიმხეცეს, რომელიც ჩვეულებრივ ასეთ ხალხშია ჩამარხული.

სუსტი იყო მოქ. მაქსიმოვასა ელენეს როლში. მსახიობმა ვერ შესძლო ელენის მღელვარე სულის გადმოცემა; მესამე მოქმედებაში, მაგალითად, როდესაც ის გაიგებს, რომ ყველა ის, რაც მას სწამდა და რისთვისაც ის აქ მოვიდა, სიცრუე და სიყალბე ყოფილა და როდესაც ის გაქცევას დააპირებს ამ მოჯადოებულ წრიდან,—აქ მსახიობმა ვერ გამოიჩინა საჭირო ტემპერამენტი და ამ სცენამ ვერ მოახდინა ის შთაბეჭდილება, რომელიც უნდა მოეხდინა.

დანარჩენი მსახიობები ანსამბლს ხელს უწყობდენ.

შ. ს—ლი.

— **წიგნი ვანო სირაჯიშვილზე.** ვანო სარაჯიშვილის საიუბილეო კომიტეტმა გამოსცა წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია სარაჯიშვილის ორი პორტრეტი, რამდენიმე სურათი სხვადასხვა როლებში, მისი ბიოგრაფია და წერილები.

18 მაისს, სახალხო სახლში ქართულ დრამ. დასის მიერ რეჟის. შ. დადიანის ხელმძღვანელობით, წარმოდგენილი იქნება ი. ეკალაძის დრამა „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით".

მომღერალთა გუნდი. თბ. პროლეტკულტთან დაარსდა ლოტბარ ალ. მაისურაძის ხელმძღვანელობით ქართული სახ. მომღ. გუნდი. გუნდში ჩაწერა შეუძლიანთ ყოველ დარგის მუშა-მოსამსახურეებს, როგორც ვაჟებს, ისე ქალებსაც. სწავლა უფასოა. ჩაწერა შეიძლება ალ. მაისურაძესთან ყოველ ორშ.—ოთხშ. და პარასკეობით საღ. 5—7-მდე ვერაზე, ბერლინის ქ. № 2.

პროვინციაში

1-ლი მაისის დღესასწაული ქ. ჭიათურაში და საჩხერეში

(დასასრული იხ. „კომუნ." № 109)

დღის 1-ლ საათზე, როდესაც მიტინგი დაწყებული იყო, ჭიათურის სადგურში ამოვიდა შორაპნიდან საგიტაციო მატარებელი, რომელსაც თან მოყვა ერთი ნაწილი შორაპნელი მუშებისა, ამხ. შორაპნელებმა თავისი მუსიკით უფრო მეტი ელფერი მისცეს ისედაც ცოცხალ და ჯერ კიდევ ჭიათურაში არ ნახულ მიტინგს. მიტინგი მიესალმა ძვირფას სტუმრებს. მიტინგმა რეზოლიუციაში ზიზღი გამოუცხადა პუანკარეს და მის პოლიტიკას და საერთოდ მსოფლიო ბურჟუაზიას, ხოლო თანაგრძნობა და სიყვარული რურის მუშებს და მისცა მათ მუშური აღთქმა—აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება. გაისმოდა ძლიერი ხმა მუშებისა—ძირს ოკუპანტები, ძირს ბურჟუაზია, გაუმარჯოს მუშებს, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას. მიტინგის გათავების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ მუშები და კავსაძის გუნდი საგანგებო მატარებლით გაემგზავრებიან დაბა საჩხერეში, სადაც მათ უცდის საჩხერის გლეხობა. ამის გამგონე მუშების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთი წუთიც არ გასულა, სადგური გაჭედილი იყო მუშებით. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ ვაგონები ცოტა აღმოჩნდა და ამიტომ მუშების სურვილი სავსებით არ იქნა დაკმაყოფილებული, მატარებელმა შესძლო წაეყვანა მხოლოდ შვიდასამდე მუშა, დანარჩენი კი დარჩა ჭიათურაში, საგიტაციო მატარებელი ათ-თერთმეტი საზაფხულო ვაგონებით, მორთული წითელი დროშებით და სხვადასხვა ემბლემებით მშვენიერ ნანახობას წარმოადგენდა. საჩხერის სადგურზე მატარებელს დახვდნენ წითელი დროშებით აუარებელი კაცი და ქალი, სადგურის წინ მუშებით დატვირთულ მატარებელს შეხვდა საპატიო ყარაული კომუნისტებისაგან, მატარებლის გაჩერებისას მუსიკამ შესრულა „ინტერნაციონალი", რომლის შემდეგ ვაგონები დაიცალა და შავი ქვის მუშები დაიფანტენ საჩხერის გლეხობაში. პროცესიამ მუსიკით და კავსაძის ხოროთი გასწია ქალაქისაკენ, სადაც მათ უცდიდა ლამაზად მორთული ტრიბუნა. საჩხერის მიტინგი გახსნა რაიონის რაიინსტრუქტორმა ამხ. გ. კიკნაძემ, რომელმაც ახსნა, გარდა პირველ მაისის მნიშვნელობისა, მნიშვნელობა მუშების და გლეხების კავშირისა. ის მისალმა ჭიათურის და შორაპნის ამხანაგებს საჩხერეს გლეხობის სახელით და მადლობა უძღვნა მათ ყურადღებისათვის. შემდეგ ილაპარაკეს სხვა მუშებმა და ბოლოს კი სამაზრო პარტკომის მდივანმა ამხ. ქავთარაძემ, რომელიც ჯერ შეეხო პირველი მაისის მნიშვნელობას და შემდეგ კი გადავიდა რელიგიის საკითხზე მოხსენების შემდეგ, ხალხმა ერთხმად დაადგინა დაკეტილ იქნას ადგილობრივი ეკლესიები, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. დაკეტეს სინაგოგა და სომხების ეკლესია (მართლმადიდებელთა ეკლესია წინეთ იყო დახურული.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი რამ ჭიათურაში მუშაობის ასეთი ზეიმით და საბჭოთა ხელისუფლებისადმი თანაგრძნობით და სიყვარულით განცვიფრებულნი მენშევიკები დარცხვენილნი, წელში გაწყვეტილნი აქა-იქ დადიოდენ და სასოწარკვეთილებას მისცემოდენ. როდესაც ერთს მათთაგანს, მე მივესალმე, ის ცოტათი გათამამდა და მითხრა: „მართალი ხართ, ძმაო, თქვენ ყოველისფერში" ამ უბრალო სიტყვებში ყოველისფერი იყო თქმული ფაქტის წინაშე მდგომ მენშევიკის მიერ.

საღამოს, მატარებელი ისევ მოქრის ჭიათურისაკენ და თან მოჰყავს თავისი მუშები! ყველგან სიმღერა, მხიარულება!... გამოჩნდა კიდევაც შავი ქვის ქალაქი, მუშებმა მაღაროების დანახვისას კიდევ ერთხელ ხმამაღლა დასძახეს ინტერნაციონალი და მატარებელიც ჩავიდა სადგურზე, სადაც ათასობით ხალხი დახვდა მხურვალე ტაშით. მუშების სახეზე შეიძლებოდა ამოგეკითხათ სურვილი პირველი მაისის დღის გაგრძელებისა, რის დამამტკიცებელია ერთი მუშის განცხადება, ნეტავ ხვალეც პირველ მაისი იყოსო. საღამოს მუშებს ქონდათ მოწყობილი ვახშამი, შემდეგ—კი თეატრი. ორ მაისის დილამ მე ძალიან დამაინტერესა, ადრეც ავდექი და დაუწყე თვალ-ყურის დევნა რა სურათს გვიჩვენებდა ეს შავი ქალაქი ასეთ ზეიმის შემდეგ. ყოველ მხრივ მოდიან მუშები წალკატებით, ნიჩბებით, ბარებით და სხვა და სხვა ინსტრუმენტებით. ისინი სამუშაო ტანისამოსით მიემგზავრებიან მაღაროებისაკენ და საუბრობენ წინა დღის ზეიმზე.

ანქანი.

პირველ მაისობა სიღნაღის მაზრაში

ჯერ კიდევ პირველ მაისამდე,—აპრილის დამლევ დღეებში, სიღნაღის მაზრის მშრომელი ხალხი დიდ მზადებაში იყო. ბუნებაც ხელს უწყობდა სამზადისს: მთა-მინდორ-ველი გაზაფხულის ყვავილებით ამოიქარგა, მშვენიერი ამინდები დადგა, მზის ცხოველი სხივები უხვად ეფინებოდა ზამთრისაგან გადამძრალ ბუნებას.

ყველა აღტაცებით და მოუთმენლად ელოდა პირველ მაისს, ყველა ხარობდა.

გათენდა პირველი მაისი.

მშვენიერი მაღლობი, ისტორიულ ციხე-სიმაგრით შემორტყმული, ქიზიყის დედა-ქალაქი სიღნაღი საუცხოვო სურათს წარმოადგენს თავისი სადღესასწაულო მოკაზმულობით; ისედაც ბუნებით მდიდარს და ლამაზს ამ დღეს უფრო ამშვენებს მრავალფეროვანი გირლიანდები, წითელი დროშებით, ხალიჩა-ფარდაგები და სხვა მორთულობა.

დილის 9 საათიდან ხალხი იყრის თავს სამოქალაქო ბაღში; ყოველ მხრიდან მოდიან წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით მუშა-მოსამსახურენი, წითელ-არმიელები, მოწაფეები, „სპარტაკელები", მილიცია და დანარჩენი მოქალაქენი აქ უნდა გაიხსნას მიტინგი.

ყველა საზეიმოთ მორთულა, სადღესასწაულო სულის-კვეთება, ხმაურობა, სიცილი, ჟივილ-ხივილი ავსებენ ქალაქს.

იხსნება მიტინგი. სამხედრო ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს". ამხანაგები გამოდიან მოკლე და თბილი სიტყვებით. ამავე დროს სიღნაღის ორ ეკლესიაზე (სომხების და ქართველების) გადმოეფინება წითელი დროშები, რაც არაჩვეულებრივ აღტაცებას იწვევს ხალხში.

მიტინგის შემდეგ იხსნება მუშათა სასახლე, სადაც იმართება საზეიმო სხდომა ადგილკომების, პასუხის-მგებელ ამხანაგების და წითელ-არმიელების წარმომადგენლების თანდასწრებით.

დარბაზი საუცხოოთ არის მორთული.

აქაც მოკლე, შინაარსიანი და მგრძნობიარე სიტყვები, მილოცვები; აქაც აღტაცება, სიხარული, აღფრთოვანება.

აქედან ეს მთელი ზღვა ხალხი მიეშურება სოფ. ნუკრიანში, სიღნაღიდან სამი ვერსტის დაშორებით, სადაც იმართება საერთო ზეიმი: ალლუში, ჯირითი, ჭიდაობა, ცეკვა, ცოცხალი მიტინგი, ქეიფი, დროს ტარება. სამხედრო ორკესტრი უკრავს სხვა და სხვა ჰანგებს, აღვიძებს ახლომახლო სოფლებს.

ყველა ეს გრძელდება ბინდამდე, რის შემდეგ ხალხი დიდათ კმაყოფილი და ნასიამოვნები ბრუნდება სიღნაღში, სადაც მოწყობილია „ილიუმინაცია", წარმოდგენა და სხვა გასართობები.

ასეთივე სიხარულით, ასეთივე აღტაცებით ჩატარდა პირველი მაისის დღესასწაული მაზრის თითქმის ყველა სოფლებში.

ამ დღეს მრავალ სოფლებში გამოკეტა მშრომელმა ხალხმა ეკლესიების კარები, მრავალ ეკლესიებში [illegible]თა წარმოდგენები, რომელთაც ხატების მაგივრად [illegible] ამშვენებდა.

სოფელი-სოფელ[illegible]თი სოფლის ხალხი მეორე სოფელში გადადის და, მეორე მესამეში და ასე გრძელდებოდა დაუსრულებელი სიმხიარულე.

ამ დღისთვის ქ. ველისციხეში დაიდგა კარლ მარქსის ქანდაკება და ტრიბუნა, სოფ. ქვ. მაჩხაანში ტრიბუნა.

ამ დღეს სიღნაღზე და მის გასწვრივ თელავისკენ გადმოიფრინეს ჰაეროპლანებმა, გადმოყარეს პროკლამაციები, რამაც ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ნინო.

პირველ მაისობა სენაკის მაზრაში

წრეულს ჩვენი მაისი არ გავდა წარსულ მაისებს. როგორც გასული წლის ოქტომბრის მე-5-ე წლის დღესასწაულმა მიიღო ნამდვილი სახალხო, მუშურ-გლეხურ დღესასწაულის ხასიათი ისე ამა წლის 1 მაისს ჩვენს მაზრაში ქონდა საუცხოვო სახე.

ეხლანდელი პირველი მაისი დადგა საუცხოვო დღე; წარმტაც ბუნების სიმშვენიერეს ალამაზებდა ნელი აღმოსავლეთის სიო. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დღე მეტად ძვირფასი იყო ყანაში სამუშაოდ,—ყოველი გლეხი მაინც უქმობდა ამ დღეს—არა იძულებით, არამედ თავისი სურვილით და შეგნებით.

დღესასწაულის მომწყობ კომისიის დადგენილების, ცირკულიარების და გამოცემულ სახელმძღვანელოების (რომლებიც დაეგზავნა ყველა ორგანიზაციებს თემებში და რაიონებში) თანახმად, საზეიმო დღესასწაული ყველა თემებში ჩატარდა. თემთა უდიდეს ნაწილში გამოდიოდენ სამაზრო პარტკომის და კომკავშირის პროპაგანდისტები; დანარჩენ ადგილას კი გამოდიოდენ ადგილობრივი ძალები. „საბავშვო დილა" ყველა სკოლებში გაიმართა. ყველა სასოფლო კლუბებში, (რომელთა რიცხვი იმდენია, რამდენი თვით სოფელი) საღამოს მოწყობილ იქნა წარმოდგენები,—ბევრ ადგილას კიდევ გაკეთდა მოხსენება რელიგიის შესახებ.

პირველ მაისს, სხვათა შორის, მით ქონდა დიადი ხასიათი ჩვენში, რომ ამ დღეს გამოიცა ჩვენი სამაზრო გაზეთ „კომუნა"-ს პირველი ნომერი.

ჩვენს სათემო მიტინგებზე გლეხებს გამოჰქონდათ რეზოლიუციები, რომლებშიაც, აღნიშნავდენ რა 1 მაისის საზეიმო ხასიათს გამარჯვებულ ქვეყნებში,—მედგარი ხმით აცხადებდენ პროტესტს დიდი გველ-ვეშაპ-კაპიტალის მიერ გადადგმულ ნაბიჯების წინააღმდეგ; მასთან ჩვენი გლეხობა უცხადებდა სოლიდარობას კაპიტალის ბრჭყალების ქვეშ მყოფ მუშათა კლასს, რომელსაც მოუწოდებდა გაერთიანებულ ბრძოლისაკენ კაპიტალის დასამხობად.

ვ. ნ—ლი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— სტუდენტთა კომიტეტის ცენტრალურ-ბიუროს პლენუმის სხდომა, რომელიც არ შესდგა ოთხშაბათს 16 მაისს გადატანილია შაბათ 19 მაისისათვის დილის 11 საათზე იმავე შენობაში (თბ. კომიტ.) მოწვეულია იგივე პირები. თხოვნაა ნუ დაიგვიანებენ.

ცენტრბიუროს პასუხისმგებელი მდივ-ნი—ჯაფარიძე.

განცხადებები

საგანგებო დანიშნულების ნაწილები: თელავის, სიღნაღის და თიანეთის მაზრების ღრმა მწუხარებით იუწყება ათასეულის უფროსის ამხ.

მამია ერისთავის

ტრაღიკულად დაღუპვას 14 მაისს ჩოლოყაშვილის ბანდებთან გმირულ ბრძოლის დროს. დაკრძალვა ქალაქ თელავში ოქტომბრის რევოლიუციის ბაღში 17 მაისს. 678

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე თამარა ცინცაძე, დები სონა და დაგმარა, შვილები ნინა, კატო და ელო აუწყებენ ამხანაგებს, ნაცნობებს და ნათესავებს

ძვირფასი მამიას

ტრაღიკულად დაღუპვას ბანდიტებთან ბრძოლაში. დაკრძალვა მოხდება ქალაქ თელავში ოქტომბრის რევოლიუციის ბაღში 17 მაისს.

თელავის მაზრის დამზღვევ კასის გამგეობა გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებს თავის წევრ მუშა-მოსამსახურეთ, რომ 14 მაისს ბანდიტიზმის მედგრად დევნის დროს ვერაგულად მოკლულ იქმნა დამზღვევ კასის წევრი თელავის „ჩონის" უფროსი

მამია ერისთავი

დაკრძალვა დანიშნულია ოქტომბრის რევოლიუციის ბაღში ქალაქ თელავში 17 მაისს.

საქართველოს კომპარტიის თელავის სამაზრო პარტკომა, საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის თელავის სამაზრო კომიტეტი და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ღრმა მწუხარებით იუწყება საგანგებო დანიშნულების ნაწილების მე-2 ათასეულის უფროსის

ამხ. **მამია ერისთავის**

ტრაღიკულად დაღუპვას ჩოლოყაშვილის ბანდებთან გმირულ ბრძოლის დროს. დაკრძალვა ქალაქ თელავში ოქტომბრის რევოლიუციის ბაღში 17 მაისს.

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პროფგანათლების მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი

ი. ფ. პალატნიკოვის

ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
(15—6) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკური მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—8)

დაიკარგა პირადობის მოწმობა მილიციის უფროსის სამმართველოს მიერ გაცემული ხერერ ადელაიდის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (682—1—1)

დაიკარგა მოწმობა პირადობის, მოცემული ქალ ტფ. მილიციის უფროსისაგან კოტე შალაქიაშვილის კიკნაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 681

დაიკარგა პირადობის მოწმობა რკინის გზის დამცველი რაზმის პირველი რაიონის უნცროს თანამშრომლის ისიდორე როსტ. ხაჩიძის სახელზე მისივე ფოტოგრაფიული სურათით. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 680—1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 4262 მანუჩარ მანუჩაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 679—1—1